ნაბიჯი

რუმეულასის საქ. კომკავშირის და ტფ. საოლქო
კომიტეტის ყოველთვიური ორგანო
ოქტომბერი 1929 ტფილისი

ტერორი კაპიტალისტურ ქვეყნებში

წერილი სოფლის ცენტრალურ საპატიმროდან

მიმდინარე წლის ოქტომბერში განზრახული 52 კომუნისტებისა და კომკავშირელების პროცესთან დაკავშირებით, რომელსაც მიზნად აქვს რევოლიუციონური, კლასობრივი მოძრაობის საუკეთესო წარმოშადგენლების ფიზიკურად განადგურება, ჩვენ ქ. სოფიის ცენტრალურ საპატიმროში მოქცეულ პატიმრებისგან მივიღეთ ვრცელი წერილი, რომელსაც უცვლელად ვათავსებთ ჩვენი ჟურნალის დღევანდელ ნომერში.

აი, რას იწერებიან ისინი: — „ძვირფასო, ამხანაგებო! ჩვენ ქ. სოფიის ცენტრალურ საპატიმროში მოქცეული პოლიტ-პატმრები განსაკუთრებულ, მკაცრ რეჟიმის ქვეშ ვიმყოფებით, პირველ აგვისტოს შემდეგ. ამის საბაბი გახდა ჩვენს მიერ პირველ აგვისტოს მოწყობილი შეკავშირებული გამოსვლები. ციხის ადმინისტრაცია უძლური აღმოჩნდა ჩვენ წინააღმდეგ, მან ვერ მოახერხა ოდნავ ხელი შეეშალა ჩვენი გამოსვლისათვის, ამ ამბის გამო ის ეხლა შურს ძიობს ჩვენზე ყოვლად საზიზღარი საშუალებებით.

კრების შემდეგ, წავედით თუ არა ჩვენს საკნებში, საპატიმროს უფროსმა შეიარაღებულთა თანხლებით დაიწყო სროლა და ჯოხით სცემა პოლიტპატიმარი გ ი ო რ გ ი ნ ი კ ო ლ ო ვ ი. ამავე დროს უფროსის ბრძანებით ჯარისკაცებმა დაიწყეს განუწყვეტლად პატიმრების ცემა-ტყეპა. პატიმრების ნაწილი გადაიყვანეს აბანოში, მეორე ნაწილი კი: თედორე პავლოვი, პეტ მიხაილოვი, ვასილი გეორგიევი, მიხეილ პენდშერკოვი და მლადენ სტოიანოვი გაარიდეს თავიანთ საკნებს და გადაიყვანეს ოხრანკელთა სამორიგეო ოთახში, სადაც მათ უმოწყალოდ სცემეს. განსაკუთრებით მძიმედ ნაცემი აღმოჩნდა მიხეილ პენდშერკოვი.

70 პატიმარი მოქცეულია ცალკე საკნებში და ორ-ორი თვის განმავლობაში მნახველთა და ყოველგვარი გადაცემათა მიღების უფლების გარეშე. მათ აკრძალული ჰქონდათ გარედან მიეღოთ რაიმე სურსათ-სანოვაგე. ცალკე საკნებში სხედან: ანგელ კოლოგანოვი, ვესკო ფილიპოვი, ივანე იზგოევი, სტოიმენ ცკეტკოვი, პეტრე მიხაილოვი, ნიკოლოზ სარიევი, მიხეილ პენდშერკოვი და მიშა ნიკოლოვი.

პირველ აგვისტომდე, რამდენიმე დღით ადრე საპატიმროს უფროსის ბრძანებით მძიმეთ სცემეს სტოიმენ ცვეტკოვი, იორდანე ილიევი და სხვ. პატიმრების ყვირილმა მიიქცია ციხის ირგვლივ მდებარე უბნებში მცხოვრებთა ყურადღება. იორდანე ილიევს ხელფეხში ბორკილი გაუყარეს და პირველ აგვისტოს შემდეგ გადაიყვანეს გ ო რ ნ ა ჯ უ მ ა ი შ ი.

სამხედრო პირთა დახმარებით ცემა-ტყეპა, ცალკე საკნებში მოქცევა და სხვ. ასეთი მკაცრი რეპრესიული ზომები გამოგონებულია იმისათვის, რომ ფიზიკურად გაანადგურონ პოლიტ-პატიმრები. ამას არ უარყოფს არც საპატიმროს უფროსი სირომახოვი, რომელმაც მოურიდებლად გამოგვიცხადა ჩვენ: — „თქვენი გამოსწორება შეუძლებელია მანამ, სანამ ფეხებს არ გაჭიმავს ყოველი თქვენთაგანი. აუცილებელია თქვენი ფიზიკურად განადგურება მშვიდობიანობის დასამყარებლადო".

ეს საპატიმრო არის ჩვენი უსაშინელესი მტერი. ამის დასამტკიცებლად საკმარისია დავასახელოთ მხოლოდ ორი ფაქტი: ერთ-ერთი ჩვენი ამხანაგი — ვესკო ფილიპოვი განთავისუფლებულ იქნა ამნისტიის ძალით. მიუხედავად ამისა საპატიმროს უფროსმა ის არ გამოუშვა ციხიდან. ასევე მოიქცენ მეორე ამხანაგის — თოდორ პავლოვის მიმართ, რომელიც არ იქნა გამოშვებული საპატიმროდან. სრულიად უპასუხისმგებლო პირების მიერ დანიშნული იქნა საქმის ხელახალი გადაშინჯვა, რომლის შემდეგ სასამართლოს შემადგენლობამ ამნისტია არ შეუფარდა მათ. ორივე ეს პატიმრები დღემდის საპატიმროში იმყოფებიან.

ვაუწყებთ რა ყოველივე ამას ქალაქისა და სოფლის მშრომელებს, ყველა პატიოსან მოქალაქეებს, როგორც შინ, ისე საზღვარგარეთ მოუწოდებთ ყველას აიმაღლონ თავიანთი ძლიერი პროტესტის ხმა იმ საშინელი ვერაგობის, ცემა-წამებისა და მხეცობათა შესაჩერებლად, რომელსაც სისტემატიური ხასიათი აქვს ჩვენს საპატიმროში.

მოითხოვეთ მთავრობისაგან, რათა დაუყონებლივ მოხსნილი იქნას საპატიმროს უფროსის მიერ დაკანონებული მკაცრი რეპრესიული ზომები, მისი დათხოვნა თანამდებობიდან და პატიმართა სრული ამნისტია.

ძირს ფაშისტური მთავრობა და თეთრი ტეროორი.

ძირს ფაშისტური ხელისუფლება.

გაუმარჯოს მუშებისა და გლეხების ხელისუფლებას.

სოფიის ცენტრალურ საპატიმროს პ ო ლ ი ტ-პ ა ტ ი მ რ ე ბ ი.

კაპიტალისტურ ქვეყნების მესვეურთა აღვირახსნილობის საპასუხოდ ოქტომბრის რევოლიუციის მეთორმეტე წლის თავზე ერთიერთად უნდა გავაძლიეროთ ბურჟუაზიის საპყრობილეებში მოქცეულ პოლიტ-პატიმართა მატერიალური და მორალური დახმარება.

გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარიატის ერთსულოვნებას!

წელიწადი მეექვსე

№ 10
ოქტომბერი
1929

რემედი

რემედასის საქართველოს ცენტრალურ და ტფილისის კომიტეტების ყოველთვიური ორგანო

პროლეტარეთო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

რედაქციის მისამართი: ტფილისი, კომინტერნის ქ. №5, II-რე სართ.

∞ ტელ. 17 42. ∞

363 (∞) (05)
543.
642.

ოქტომბრის რევოლიუციის მეთორმეტე წლის თავი და რემედასის ამოცანები

თორმეტი წლის წინად — 1917 წ. მეფის რუსეთის იმპერიის დაჩაგრული და დაბეჩავებული პროლეტარიატი სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეება თავის კლასობრივ მტერს — ბურჟუა-მემამულეთა ხელისუფლებას.

კაპიტალისტური მსოფლიოს მესვეურები განგაშით შეხვდენ ამ მოვლენას. რუსეთში მუშათა კლასის გამარჯვებით ისინი გრძნობდენ თავიანთ დაღუპვის აუცილებლობას და მოსალოდნელი „უბედურების" თავიდან ასაცილებლად, ყოველმხრივი დახმარება აღმოუჩინეს თავიანთ კლასობრივ მოძმეებს.

კაპიტალისტური ქვეყნების „სოციალისტები" დასცინოდენ ძველ რუსეთის ტირეტორიაზე აღმოცენებულს, ახალ, პროლეტარულ წყობილების სულის ჩამდგმელებს: მუშებს, გლეხებს და ჯარისკაცებს. ისინი დღე-დღეზე მოელოდენ ამ უკანასკნელთა განადგურებას და ისევ ძველი ბატონობის აღდგენას.

მაგრამ ისინი სასტიკად მოსტყუვდენ. მათ ვერ გაუწიეს ანგარიში იმ გარემოებას, რომ რევოლიუციისათვის თავდადებულ გმირებს, მუშათა კლასის საუკეთესო წარმომადგენლებს შესწევდათ უნარი, ახალი, მუშურ-გლეხური სახელმწიფოს აშენებისა და მისი აღორძინებისა.

პროლეტარიატმა ბრწყინვალედ გადასჭრა მის წინაშე წამოჭრილი ამოცანები. ის გაუმკლავდა არა მარტო ეკონომიურ კატასტროფას, შინაურ კონტრევოლიუციას, არამედ მან გაანადგურა გარეშე მტერიც, რომელიც რუსეთის თეთრ-გვარდიელებისადმი მატერიალური დახმარებით და ბლოკადებით ცდილობდა დასაწყისშივე ჩაექრო ოქტომბრის დიდი რევოლიუცია.

მას შემდეგ გავიდა სრული 12 წელი. ამ ხნის განმავლობაში სამოქალაქო ომების ფრონტებზე დაიღუპენ მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის თავდადებული უთვალი გმირები. მათ თავიანთი სიცოცხლე მსხვერპლად შეწირეს მუშათა კლასის განთავისუფლებას ექსპლოატაციისაგან და ჩვენს ქვეყანაში შექმნეს სოციალიზმის მშენებლობისათვის მკვიდრი ნიადაგი.

კომუნისტურ პარტიაში გაერთიანებული მილიონიანი მასა დღეს აქტიურად ჩაბმულია ჩვენი ქვეყნის ეკონომიუ-

ვ. ი. ლენინი

პეტერბურგის ციხეში ყოფნის დროს (1896 — 1897).
(სურათი გადაღებულია დამცველ განყოფილების მიერ).

რად და კულტურულად აღორძინების საქმეში. ეჭვს გარეშეა ისინი ბრწყინვალედ შეასრულებენ ამ დაკისრებულ მოვალეობას.

ის უდიდესი სოციალისტური აღმშენებლობა, რომელიც დღეს მიმდინარეობს საბჭოთა კავშირში მეტყველებს იმის შესახებ, რომ პროლეტარიატს შეუძლია არა მარტო ძველი, დამყაყებული, ცხოვრების დანგრევა, არამედ ის მზად არის ააშენოს სრულიად ახალი, მუშურ-გლეხური სოციალისტური ქვეყანა.

ვინც საბჭოთა კავშირისადმი მტრული განწყობილებით სულ არ დაბრმავებულა, მისთვის ადვილი შესამჩნევია ის გარემოება, რომ ჩვენს ქვეყანაში ხუთწლიანი გეგმის მიხედვით მიმდინარე აღმშენებლობა, სოცალისტური შეჯიბრება, განუწყვეტელ კვირაზე გადასვლა, კოლექტიურ მეურნეობათა ქსელის გაფართოვება და კულტურული რევოლიუციის გაღრმავება წარმოადგენს მუშათა მილიონიან მასების შემოქმედებითი უნარიანობას.

1917 წ. ოქტომბერი — „გამარჯვებულნი"

ნახ. ა. ოსმერკინისა.

ჩვენთვის აშკარაა, რაც უფრო სწრაფად ვითარდება ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობა მით უფრო მჭიდროდ ირაზმებიან ჩვენს წინააღმდეგ ყველა ანტისაბჭოთა ელემენტები. რაც უფრო სწრაფად იზრდება ჩვენი ქვეყნის ავტორიტეტი საერთაშორისო მუშათა კლასის თვალში, მით უფრო მკაცრ შეტევებზე გადადის საერთაშორისო ბურჟუაზია, რათა ახალ ავანტიურაში ჩაითრიოს საბჭოთა კავშირი.

საზღვარგარეთელი პროლეტარიატი და რევოლიუციონური გლეხობა ფხიზელ თვალყურს ადევნებს ბურჟუაზიის მოქმედებას. ისინი სასტიკ პროტესტებს უცხადებენ ყველა მათ, ვინც იარაღით, თუ პრესით დაუნდობლად ილაშქრებს, პირველ, მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს — საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

ამ ბრძოლაში პირველ რიგებში მიემართება რუმედასი თავისი მრავალმილიონიანი წევრებით.

რემედასის მუშაობა დღეს ერთი-ორად უნდა იქნეს გაძლიერებული იმის მიხედვით, თუ რა ხასიათს ღებულობს თეთრი ტეროორის შემოტევა. რემედასმა თავის ყოველ დღიურ მუშაობასთან ერთად ხელი უნდა შეუწყოს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე სოციალისტურ აღმშენებლობას.

მართალია ჩვენ მხურვალე მონაწილეობა მივიღეთ მიმდინარე წელს საბჭოების გადარჩევაში, სოციალისტურ შეჯიბრებაში, პირველ მაისისა და პრველ აგვისტოს ჩატარებაში, მაგრამ ეს ყველაფერი არ არის. საჭიროა უფრო მეტი ენერგიისა და შემოქმედებითი უნარიანობის გამოჩენა, რათა რემედასის წევრები სრული ასი პროცენტით ჩაებან მიმდინარე ამოცანების განხორციელებაში.

ოქტომბრის დღესასწაულის ჩატარების დროს საჭიროა გადასინჯული იქნეს, თუ რამდენად ნაყოფიერ მონაწილეობას ვიღებთ ჩვენ სოციალისტურ აღმშენებლობაში. საჭიროა ამავე დროს კონტროლი გაუწიოთ, იმ გარემოებას, თუ რამდენად ატარებენ ცხოვრებაში ჩვენი ქვემდგომი ორგანიზაციები მუშაობის წინასწარ გეგმებს წარმოებამრეწველობაში.

ამასთანავე ერთად არ უნდა დავივიწყოთ მთავარი რამ ჩვენი ორგანიზაციისათვის, ეს რის წევრთა შორის ინტერნაციონალურად აღზრდის საკითხი. ეს ამოცანა გაცილებით უფრო მეტი ყურადღების მიქცევას მოითხოვს დღეს, როცა საერთაშორისო თეთრი ტეროორი ემზადება ახალ საერთაშორისო ომის ცეცხლის დასანთებათ.

ოქტომბრის რევოლიუციის მეთორმეტე წლის თავზე ჩვენ უნდა შევამჭიდროვოთ რემედასის რიგები და ხელი შეუწყოთ, როგორც კაპიტალის პატიმართა მატერიალურად დახმარების საქმეს, ისე საბჭოთა კავშირის სოციალისტურ აღმშენებლობას.

მ ო გ ო ნ ე ბ ა ნ ი

1917 წ. თებერვლის რევოლიუციამ სადგურ აჯიკაბულში მოგვისწრო. იმ ხანებში მე რკინის გზაზე ვმსახურობდი. რევოლიუციამდე აჯიკაბულში არსებობდა არალეგალური რ. ს. დ. მ. პარტიის ორგანიზაცია, მაგრამ წევრები ცოტანი იყვენ.

აჯიკაბულში მაშინ რკინის გზელთა რაოდენობა 500—600 კაცამდე აღწევდა. ამათში კი პარტიის წევრები მხოლოდ 10 კაცი თუ იქნებოდა. მიუხედავად ამისა ნიკოლოზის ტახტის დამხობას და რევოლიუციის გამოცხადებას დიდის ენტუზიაზმით შეეგებენ მოსამსახურეები და მთელი მოსახლეობა.

ცოტა ხნის შემდეგ ბაქოდან ჩამოვიდენ ამხანაგები, რომელთა ხელმძღვანელობით ადგილობრივად ჩამოვაყალიბეთ დროებითი ბიურო. ავირჩიეთ აგრეთვე ადგილობრივი წესრიგის დამცველი კომისარი. ჩვენი ორგანიზაციის წარმომადგენლად ბაქოს კომიტეტში ამირჩიეს მე და გ. ოჰანეზოვი. იმ ხანებში ბაქოს ორგანიზაციაში

ერთად მუშაობდენ მენშევიკები და ბოლშევიკები, ეს უკანასკნელნი მაშინ არ იყვენ ორგანიზაციულად ცალკე ჩამოყალიბებულნი.

ბაქოს კომიტეტთან არსებობდა მხოლოდ ბოლშევიკური ფრაქცია. აჯიკაბულის ყველა მუშა-მოსამსახურეები მასიურად ეწერებოდენ ს. დემოკრატიულ პარტიაში.

191 წ. სექტემბერში ბაქოში მოწვეულ იქნა პარტიული კონფერენცია, სადაც დელეგატებათ დავესწარით მე და გ. ოჰანეზოვი.

კონფერენციის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1. ს. დ. პარტიამ ჩაიგდოს ძალა-უფლება ხელში, თუ მუსავატისტებმა და ესერებმა? 2 .მენშევიკ-ბოლშევიკების ერთ ორგანიზაციაში შეთავსება, თუ ცალკცალკე მუშაობა?

კონფერენციას თავმჯდომარეობდა ამხ. შ ა უ მ ი ა ნ ი, რომელიც ა ლ ი ო შ ა ჯ ა ფ ა რ ი ძ ე ს ა და სხვა ბოლშევიკ ამამხანაგებთან ერთად მოითხოვდენ მუსავატისტური მთავრობის გარეკვას და ძალა-უფლების სოციალ-დემოკრატიულ პარტიაზე გადაცემას. მოიწინააღმდეგეებათ გამოვიდენ ვიღაც ბაღათუროვი, სადოვსკი, ის. რამიშვილი და სხვ. ეს უკანასკნელები ამტკიცებდენ, რომ ლ ე ნ ი ნ ი ს მიერ ნაკარნახევი, საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადება და პროლეტარიატზე ძალა-უფლების გადაცემა დაღუპვამდე მიიყვანს ქვეყანასო. დღევანდელი, ბურჟუაზიული რევოლიუცია კი ერთად-ერთი საშუალებაა ქვეყნის აღორძინება-წარმატებისათვის და მას ბურჟუაზიული დემოკრატია უნდა ედგეს სათავეშიო,— გაიძახდენ ისინი.

კამათმა მეტად მწვავე ხასიათი მიიღო და დასრულდა იმით, რომ ბოლშევიკებმა ბაქოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია დაშლილად გამოაცხადეს. მენშევიკები გარიყულნი დარჩენ. ორგანიზაციას კი სათავეში ჩაუდგენ ბოლშევიკები. ამის შემდეგ მენშევიკებმაც შექმნეს ე. წ. ს. დ. მ. პარტიის ბაქოს ორგანიზაცია, მაგრამ მუშების ძლიერ მცირედი ნაწილი გაჰყვა მათ.

ასეთი მდგომარეობა გაგრძელდა 1918 წ. თებერვლამდე. რუსეთის ოქტომბრის რევოლიუციის გამოცხადების შემდეგ ბაქოშიაც მზადდებოდა ნიადაგი ძალა-უფლების პროლეტარიატისათვის გადაცემად. უწინარეს ყოვლისა ბოლშევიკები დაეპატრონენ ქალაქის საბჭოს. იმავე წლის მარტში ქ. ბაქოში გამოცხადდა საბჭოთა ხელისუფლება.

ბაქოს პროლეტარიატს ძალიან ძვირად დაუჯდა ძალა-უფლების ხელში ჩაგდება. მენშევიკების დახმარებით გათამამებული მუსავატისტები და ესერები შეეცადენ ძალა-უფლების შენარჩუნებას. ამ მიზნით მათ მოაწყვეს პროვოკაციული გამოსვლები. შოვინისტურად განწყობილი სომხები და თათრები მიუსიენ ერთიმეორეს, რომელსაც მოჰყვა შეუწყნარებელი და განუკითხავი სისხლის ღვრა. ამ პროვოკაციის წყალობით სრულიად ამოწყდა სომხის და თათრის მრავალი ოჯახი.

მდგომარეობამ მწვავე ხასიათი მიიღო, მაგრამ ბოლშევიკებმა ენერგიული ზომები მიიღეს და მეზღვაურთა აქტიური დახმარებით მხოლოდ სამი დღის განუწყვეტელი ბრძოლის შემდეგ შესაძლებელი გახდა რევოლიუციონური წესიერების დამკვიდრება. ამის შემდეგ ჩამოყალიბდა ბაქოს რევკომი, ს ტ ე ფ ა ნ ე შ ა უ მ ი ა ნ ი ს ა და ა მ ხ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ი ს ხელმძღვანელობით. დაუყონებლივ ჩამოყალიბებული იქნა წითელი არმია და ცხოვრება თანდათან ჩადგა ნორმალურ პირობებში.

მენშევიკები კი — აიოლო, სადოვსკი და მუსავატისტები და დაშნაკელები მაინც განაგრძობდენ გველურ სისინს; აწყობდენ აქა-იქ კრებებს და ყოველ გზა ჯვარედინებზე ხალხს ჩასჩიჩინებდენ ბოლშევიკების „ვერაგობის“ შესახებ. ისინი „ამტკიცებდენ“ თითქოს ბოლშევიკების მიერ ძალა-უფლების აღების შემდეგ რუსეთში ანარქია გამეფებულიყოს, მაგრამ მათ ვერ იშოვეს მომხრეები და ყველგან სტვენით ისტუმრებდენ.

მდგომარეობა ისე გამწვავდა, რომ განჯის გუბერნიაში შეუძლებელი გახდა საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადება. იქ თავი მოიყარა ბაქოდან გადმოხვეწილმა კონტრეოვოლიუციონურმა ბანდამ და ჩამოყალიბდა ე. წ. „დ ი კ ა ი ა დ ი ვ ი ზ ი ა“, რომელსაც ხელმძღვანელობდა ვიღაც შავრაზმელი ღენერალი მაღალოვი. ეს უკანასკნელი მაშინდელი საქართველოს დემოკრატიული მთავრობის უშუალო დახმარებით ილაშქრებდა ბაქოს საბჭოს წინააღმდეგ.

იმავე ხანებში აჯიკაბულში ამოვიდა გოგუაძიეს ჯავშნოსანი მატარებელი, რომელსაც განზრახული ჰქონდა ბაქოზე გალაშქრება, მაგრამ მას ამის საშუალებას არ აძლევდა სად. ალიათში მდგომი ჩვენი ჯავშნოსანი, რომელსაც ხელმძღვანელობდენ: სამსონ კანდელაკი, სიმონ ხმალაძე და ნოე ლეჟავა.



მეზღვაურთა დესანტი მიემართება ზ ა მ თ რ ი ს ს ა ს ა ხ ლ ი ს ასაღებათ. ნ ი კ ო ლ ო ზ ი ს ხიდს იქით სდგას კრეისერი „ა ვ რ ო რ ა“ და მფარველი „ა მ უ რ ი“.

ნახ. — ყაბასი.

მდგომარეობა თანდათან მწვავდებოდა, რუსეთში ღრმავდებოდა სამოქალაქო ომი. გვებრძოდენ: დენიკინი, კოლჩაკი, სემიონოვი და სხვა მრავალი შავრაზმელები. ასეთ პირობებში ბაქოს პროლეტარიატისადმი რაიმე დახმარების აღმოჩენა შეუძლებელი გახდა და ის დარჩა თავისი საკუთარი ძალების ამარა.

მოღალატე მენშევიკებმა გაიგეს თუ არა, რომ ოსმალეთი მოდიოდა მუსავატისტების დასახიმარებლად განჯის მხრით მოითხოვეს სპარსეთში მყოფი ინგლისის ჯარები. მათ ბაქოში შემოიყვანეს ვინმე ბიჩერახოვის ჯარი მიუხედავად იმისა, რომ ამის წინააღმდეგ სასტიკად ილაშქრებდა ამხ. შ ა უ მ ი ა ნ ი. ბიჩერახოვის ჯარში შედიოდა 2.000 მეტი ყაზახი. მან ბაქოში შემოსვლისთანავე პირველი მახვილი აღმართა ბაქოს საბჭოს წინააღმდეგ.

შეიქმნა მეტათ მწვავე და კრიტიკული მდგომარეობა. ბაქოს საბჭომ ვერ დასძლია შემოსული მტრის ურდოები და ის გმირული ბრძოლების შემდეგ დაეცა, ხოლო მისი ხელმძღვანელნი — „26 კომისარი" დახვრეტილ იქნა ინგლისლების მიერ კასპიის ზღვის ნაპირად.

დღეს, ოქტომბრის რევოლიუციის მეთორმეტე წლის თავზე ჩვენ ვალდებულნი ვართ გადავხედოთ მწვავე ბრძოლებით გამოვლილ მანძილს და გაასკეცებულის ენერგიით ხელი შეუწყოთ იმ ახალი ქვეყნის აღორძინბა-აყვავბას, რომელსაც მსხვერპლად შეეწირენ ა/კავკასიის მუშათა კლასის საუკეთესო შვილები.

ვლ. თოდრია.

ამხ. პან-პაის ხსოვნას

შანჰაიდან იუწყებიან, რომ უკანასკნელ ხანებში იქ დაუხვრეტიათ 4 ამხანაგი, მათ შორის ამხ. პ ა ნ-პ ა ი ც.

ამხ. პან-პაი იყო ჩინეთის გლეხთა მოძრაობის პიონერი და სულის ჩამდგმელი. მან თავისი მოღვაწეობა დაიწყო ჯერ კიდევ 1923 წ. გუანდუს გლეხთა მასებში. დაიბადა

ამხ. პ ა ნ-პ ა ი

საბჭოთა მთავრობის თავმჯდომარე ხაიფინში (1928 — 29 წ. წ.). ჩინეთის კომპარტიის ცეკას წევრი. გლეხთა მოძრაობის ორგანიზატორი სამხრეთ-ჩინეთში. დახვრეტილ იქნა ჩინელ ხუნხუზების მიერ შანჰაიში.

ის კარგად შეძლებული მემამულის ოჯახში. მშობლების მატერიალურად დაუძლურების გამო მან ვეღარ შესძლო სწავლის გაგრძელება. კანტონში, სტუდენტობის დროს ის მიემხრო რევოლიუციონურ მოძრაობას. ეს მოხდა 1919 წ. ამის შემდეგ ის მონაწილეობას იღებდა გუანდუში პირველი სოციალისტური წრეების ჩამოყალიბებაში.

მიუხედავად ამისა ის წინააღმდეგი იყო, როგორც სუნიატ-სენის უტოპიურ სოციალიზმის, ისე ჩენ-გუ-პოს, ტან-პან-სიანისა და სხვათა „სოციალისტური" ლიბერალიზმის. მას თავიდანვე სწყუროდა მასიური მოძრაობანი. 1921-22 წ. წ. ის შევიდა ჩინეთის კომპარტიის რიგებში, ის იყო გუანდუნში კომუნისტური ორგანიზაციის პირველი ჩამომყალიბებელი. ცოტა ხნით კანტონის მუშებთან მუშაობის შემდეგ ის გაემგზავრა თავის სამშობლოში — ნაიფინში. ამის შემდეგ იწყება მისი დაუღალავი მუშაობა ხაიფინელ გლეხთა შორის.

პან-პაი იყო ცნობილი მუშაკი მასაში; ის მუდამ თავის გარშემო იკრებდა გლეხებს, მართავდა მათთან საუბარს სადღეისო საჭირბოროტო საკითხებზე, თვითონ ბევრჯერ ისეთივე დამცირებასა და სიღარიბე-სიღატაკეს იტანდა, როგორც სხვა დანარჩენი მისი ახლობელი გლეხები.

მისი მოხსენება ხაილუფინის გლეხთა მოძრაობის შესახებ ერთ-ერთ თვალსაჩინო საბუთს წარმოადგენს ჩინეთის გლეხთა მოძრაობის ისტორიაში.

უხანის პერიოდში ის ჩამოვიდა ხანკოუში, სადაც ის არჩეული იქნა სრულიად ჩინეთის გლეხთა აღმასრულებელ კომიტეტში. ჩინეთის კომპარტიის მეხუთე ყრილობის დროს ხანკოუში, გომინდანის აღმასკომის მიწის კომისიაში ის იცავდა აშკარა რევოლიუციონურ ხაზს.

მეხუთე ყრილობის მიერ ის არჩეულ იქნა ცეკას წევრად.

უხანის აჯანყების დროისათვის მან მოამზადა ხაიფინელ გლეხთა მასიური მოძრაობა. ამავე დროს ის უშუალო ხელმძღვანელობას უწევდა ხაილუფინის აჯანყებას, რომელმაც ხელი შეუწყო გუანდუნის რევოლიუციონურ მოძრაობის გაღრმავებას და, რომელმაც რევოლიუციონური მოძრაობის ტალღები გადისროლა ხუნანისა და ცზიანსის სოფლებში 1927 წ. ბოლო რიცხვებსა და 1928 წ. დასაწყისში.

ამხ. პან-პაი კანტონის საბჭოს მიერ დანიშნული იქნა მიწსახკომად და ის საბჭოთა ხელისუფლების დაცემამდე მუშაობდა ხაილუფინში.

მეექვსე ყრილობაზე ის არჩეულ იქნა ჩინეთის კომპარტიის ცეკაში. ამის შემდეგ ის გავიდა პოლიტბიუროს წევრად და მუშაობდა ცეკაში.

ამხ. პან-პაი უკვე აღარ არის. მისი სახით ჩინეთის კომპარტიამ და რევოლიუციონურმა პროლეტარიატმა დაჰკარგა თვალსაჩინო მებრძოლი.

გომინდანელი რეაქციონერები ზეიმობენ ჩინეთის რევოლიუციის საუკეთესო შვილების გვამებზე, მაგრამ ისინი ვერ შესძლებენ ჩვენს საბოლოო განადგურებას. ისინი ვერ შესძლებენ ჩინეთის რევოლიუციონური პროლეტარიატის მთლიანად მოსპობას. პან-პაის მიერ დაწყებულ ბრწყინვალე ბრძოლას განაგრძობენ და ღირსეულად დააგვირგვინებენ ასი და ათი ათასი ახალგაზრდა, თავდადებული რევოლიუციონერები, რომლებიც უანგაროდ ემსახურებიან ჩინეთის რევოლიუციას.

ციუი-ვიტო.

რ უ მ ი ნ ე თ ი ს ს ა პ ყ რ ო ბ ი ლ ე ე ბ ი ს შ ე ფ ე ბ ს

(ა მ ხ. დ უ ბ ი ნ ს კ ი ს წ ე რ ი ლ ი)

ამხანაგებო!

მთელი ქვეყნის პროლეტარიატის პირველ სამშობლოში ს. ს. რ. კავშირში ჩამოსვლისთანავე, უწინარეს ყოვლისა მე უნდა გადმოგცეთ მხურვალე სალამი რუმინეთის ყველა საპატიმროებში მოთავსებული პოლიტ-პატიმრების სახელით. გარწმუნებთ, რომ მიუხედავად იმ საშინელი რეჟიმისა, რომელიც გამეფებულია რუმინეთის საპყრობილეში, მათ შეურყევლად სჯერათ და სწამთ, მუშათა კლასის გამარჯვება.

— არც ერთი წუთით, — ამბობენ ისინი, — ჩვენ არ ვივიწყებთ იმ გარემოებას, რომ ჩვენ ვართ საერთაშორისო რევოლიუციის ჯარისკაცები და თუ ჩვენ აქ ჯდომა გვეძნელება უმთავრესად მხოლოდ იმიტომ, რომ დიდი ხანია ჩამოვშორდით რევოლიუციონურ მოღვაწეობას, რომლის მიზანს შეადგენს მუშათა კლასის განთავისუფლება კაპიტალისტური წყობილების ექსპლოატაციის მძიმე უღლიდან.

ამხანაგებო, თქვენს მიერ აღმოჩენილი, მატერიალურ, თუ მორალურ დახმარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის საპატიმროს კედლებში ცხოვრების დროს. მატერიალური დახმარება ციხეში საშუალებას გვაძლევს გაუმკლავდეთ მრავალ წლობით ჯდომას, რადგანაც რუმინეთის ხელისუფლება 500 გრამი მჭადის, ან ცოტაოდენი ღომის მეტს არაფერს არ გვაძლევს საპყრობილეში. მორალური დახმარება კი გვამხნევებს ჩვენ და ენერგიას გვმატებს, გვინერგავს იმედს მომავლისადმი.

ამხანაგებო! მართალია, ჩვენ ყოველთვის ვერ ვღებულობთ ყველაფერ იმას, რასაც თქვენ გვიგზავნით, მაგრამ იმ მცირედსაც კი, რომელსაც ვღებულობთ უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის. თქვენს წერილებს ჩვენს საკნებში თან შემოაქვს სიხარული და აღფრთოვანება, ამიტომ ჩვენ ადვილათ ვიტანთ პატიმრობას, რომლის მეოხებით დაშორებულნი ვართ თქვენგან. მართალია ჩვენ იშვიათად გაძლევთ პასუხს წერილებზე, მაგრამ ამაში ჩვენ არა ვართ დამნაშავენი.

ამხ. დ უ ბ ი ნ ს კ ი ს ა ბ ჭ ო თ ა კ ა ვ შ ი რ შ ი. დუბინსკი ცნობილი რუმინელი რევოლიუციონერია. პროფესიით — მეტყავე. დუბინსკი 9 წ. იჯდა საპყრობილეში.

ჩვენს საპყრობილეში მეტად მკაცრი რეჟიმია დამკვიდრებული. ხშირი სიმშილიანობა, ცალ-ცალკე საკნებში დანაწილება ხელს უშლის მიწერმოწერის მოგვარებას. მიუხედავად ამისა თქვენი წერილის მნიშვნელობა განუზომელია. ამ წერილებით ვცხოვრობთ და ვსუნთქავთ ჩვენ. თუ კი ჩვენგან სამაგიეროს ვერ ღებულობთ რა ვქნათ, ბურჟუაზია თავზე გვადგას სულთამხუთავად და დასაწყისშივე აქრობს ჩვენს ყოველგვარ სურვილებს. ჩვენ უფრო მეტად გვწყურია თქვენი ცოცხალი სიტყვა, თქვენს მიერ აღმოჩენილი მატერიალური, თუ მორალური დახმარება.

გასტონიის ტრაღედიის ორი თვე. ფაშისტების მიერ მოკლული მუშა ქალის — ე ლ ლ ა ვ ი გ ი ნ ს ი ს დაკრძალვა.



(გაგრძელება *)

IV

გავიდა რამდენიმე თვე. გუშინდელი ურჩი ჯარისკაცი, რომელსაც შაშხანაც კი ეუცხოვებოდა დღეს გამოწვრთნილი მეომარი შეიქნა. მიზანში არტყამდა ისე, რომ იშვიათად თუ ააცდენდა რამეს. ხიშტს კი ხმარობდა იოლად, ისევე, როგორც სოფელში ფიწალს თივის შეგროვების დროს.

და როდესაც გარგათ შეასწავლეს სამხედრო საქმე მთელი მათი ასეული ოსმალეთის ფრონტზე გაგზავნეს.

შემოდგომიდან გაზაფხულამდე იყვნენ მიწის ციცი სანგრებში და იბრძოდენ ღამით, დღისით კი არა სწყდებოდა შემზარავი ხმები ზარბაზნებისა, ყუმბარების გასკდომისა და ტყვიამფრქვევების გაბმული კაკანის.

რამდენიმეჯერ გაუსისინია მის ყურს გვერდით ცხელს, გავარვარებულს ტყვიას და რამდენი ყუმბარა გამსკდარა მის თვალწინ, რომელსაც უზარმაზარი ორმო ამოუთხრია და მიწა აუტყორცნია სივრცეში.

მთელი წელიწადი იბრძოდა დათია ოსმალეთის ფრონტზე, მაგრამ არც გამარჯვება სჩანდა და არც დამარცხება.

დაიქანცა ჯარი. მოსწყინდა გაუთავებელი ბრძოლა, სიმშილი, სისხლისღვრა. მოენატრათ საკუთარი კერა, ოჯახი, ცოლშვილი. მათი ფიქრი გარს ევლებოდა მხოლოდ შინ დაბრუნებას, შრომას, მშვიდსა და დაწყნარებულ ცხოვრებას.

ოჯახებიდან წერილები მოსდიოდათ ჯარისკაცებს. ისინი კითხულობდენ მასში მხოლოდ სიმშლსა და სიღატაკეზე, მათი მშველელი კი არავინ იყო, არსადა სჩანდა.

გააღატაკა ომმა ქვეყანა.

დააავადმყოფა სიმშილმა ხალხი.

სულიერად დასცა ჯარი და გამარჯვების ფიქრი აღარ აწუხებდა მათ.

— როდის გათავდება ომი!?.

— როდის გველირსება შინ დაბრუნება!? გაისმოდა აქა-იქ ხმები და პასუხად ამისა შემჩნეულ ჯარისკაცებს აპატიმრებდენ, სამხედრო-საველე სასამართლოში მიჰყავდათ.

ფრონტის ზუგში ღამით ან რიჟრაჟისას გავარდებოდა ხოლმე ერთი ან ორი ტყვია და ამ შორეულ მთებში, თავისივე ქვეყნის ტყვიით მკერდგახსნილები ეცემოდენ ხრამებში ურჩი ჯარისკაცები. იქ კი, სახლში შვილები ნატრობდენ მამის ცოცხლად დაბრუნებას. ომში გადარჩენას.

ხედავდა დათია როგორ აკლდებოდენ ასეულს თანამებრძოლნი ცალკე მტრის ტყვიებით, ცალკე ზურგში მყოფი ჯალაეთბით.

რა შეეძლო მას იმის წინააღმდეგ, რაც ღმერთისა და მეფის სახელიდ კეთდებოდა.

ეჭირა ხელში შაშხანა. იერიშების დროს ჩახმახს სცემდა სწრაფად, დაუფიქრელად, ტყვიებს გზავნიდა უთვალავს და ამავე დროს თავისთვის ლაპარაკობდა: „როგორ მეჯავრები შაშხანავ, ადამიანს რომ სპობ, შენს მაგიერ ნიჩაბი არა სჯობია ხელში მეკავოს, ერთ ბელტ მიწას მაინც გადმოვაბრუნებდი?!“ სიტყვას კი არ იღებდა. მუნჯად იყო გადაქცეული.

ახალი ბრძანება მოვიდა ფრონტზე. მათი ასეული უნდა მოხსნილიყო და ავსტრიის ფრონტზე გადასულიყო.

გაეხარდა ჯარს. მოგზაურობაში დაისვენებდენ. დაიძინებდენ ადამიანურად, სუხარის მაგიერ პურს მაინც შესჭამდენ...

აიშალა ფრონტზე ორთვალები და ფურგუნები. გამოჰყვა კლდესა და ღრეს ჯარის ნაწილები და გამოემართა რკინის გზისაკენ.

აივსო ვაგონები ეშელონებით და გამოაქროლა მატარებელმა მეომრები შორეულ ქვეყნიდან, შორეულ ქვეყნისაკენ. გზაში ხვდებოდათ სამხედრო მატარებლები, მასში ისხდენ ახლად გაწვეული ჯარისკაცები. მათ სახეებზე ულვაშები არა სჩანდა. თვალებში ბავშური მკვირცხლობის ნაპერწკლები არ ჩამქრალიყო, სახებზე ღიმილი და სიხარული უკრთოდათ. ეგონათ ქეიფად მიდიოდენ კაცთა სასაკლაოზე.

— რა გიხარიათ, რა? ეკითხებოდა თავის თავს დათია. აი, როგორ გამოტანჯულნი ვბრუნდებით. ჩვენ რა ვნახეთ კარგი, რომ თქვენ ნახოთ... მწუხარებით აქნევდა თავს და შესცქეროდა სიბრალულით. ისინი გავდენ ბავშებს რომელნიც მოლიპული გზით დაღუპვისკენ მიცურავდენ და მათ კი ეს ციგაობად ეჩვენებოდათ.

მატარებელი კი მიჰქროდა. ორთქლმავალი გაჰკიოდა მხოლოდ, ჰაერში ჰფანტავდა შავს, შეკუმშულს კვამლის კვირტებს და მიაქროლებდა განწირულ ადამიანებს.

V

ახალი ფრონტი. ავსტრო-უნგრეთის მხარეა, აქ რუსის ჯარი გამარჯვებული მიიწევდა წინ და ცეცხლს აძლევდა რაც გზაში ხვდებოდა. გერმანულ ყაიდაზე გაკეთებული სანგრები და ტრანშეები შეხვდათ გზაში. ის ბევრად განსხვავდებოდა რუსულ, საფლავების მაგვარ, ვიწრო

---

*) იხ. ჟურ. „რემედას“ — 1929 წ. სექტემბრის, ქართული-რუსული, სპეციალური ნომერი.

თხრილებისაგან, რომელშიც ჯარისკაცებს სული ეხუთებოდათ.

ამ ფრონტზე პირველი ბრძოლა რომ მოუხდათ რამდენიმე ვერსით წაიწიეს წინ. დამარცხებული ავსტრიელები მიილტვოდენ უკან, იარაღაყრილი ტყვეები კი მოჰყავდათ ჯარისკაცებს. მათ ჰქონდათ შესაბრალისი სახეები. აღარ ჰგავდენ მეომრებს. ისინი გაშიშვლდენ ყოველგვარ ზრახვებისა და იმ ქურქისაგან, რომელსაც იარაღით ხელში ატარებდენ. ეხლა გადაქცეულიყვენ მხოლოდ ადამიანებად, რომელნიც სიცოცხლესა და შებრალებას მოითხოვდენ.

მეორე დღეს ეს გამარჯვება ფრონტის მთავარსარდალმა იმით აღნიშნა რომ არმია პირადათ შემოიარა და ღმერთისა და მეფის სახელით მადლობა გამოუცხადა.

ის ამბობდა:

— ჩვენ გავიმარჯვებთ ღმერთის წყალობით, გავანადგურებთ ჩვენს მტრებს და სიამაყით გადიხედავს მაშინ ორთავიანი არწივი რუსეთის იმპეიირსა.

რამდენი ჯარისკაცი გულუბრყვილოთ შესძახოდა საპასუხო „ვაშა"-ს, რამდენი კაცი ნაძალადევად.

ასე იყო დათიაც.

— გამარჯვება რისთვის მინდა. ამდენი ხალხი თუ დაიხოცება, ოხ, ეს ორთავიანი არწივი?!. წამოიძახებდა და ბრაზით მკერდზე ხელს დაიკრავდა.

ასე მიდიოდა დრო.

ბოლო ხანებში კი, როდესაც გაზაფხულის ფურცლები იშლებოდა, და ლღვებოდა ყინულები მდინარეებში, ლღვებოდა ზამთრისაგან გამშრალი მიწა, ფრონტი მეტის მეტად გამოცოცხლდა. აქ მოდიოდენ ფერშლების და სანიტრების სახით რევოლიუციონერები, რომელნიც ჩუმ-ჩუმად ომის წინააღმდეგ ეწეოდენ პროპაგანდას. რამდენიმე პირი გაიცნო დათიამ. ესაუბრებოდა ხშირად მათ და გებულობდა მათგან ქვეყნის ავკარგს.

ერთ დღეს კი მოვიდა ცნობა, რომ ორთავიან არწივს თავი გააგდებინესო და რომ უკანასკნელ წუთებს ითვლის ფრთების ფართხალში.

ეს იყო თებერვალი.

ეს იყო თებერვლის რევოლიუცია.

მაშინ ფრონტმა მძიმედ და თავისუფლად ამოისუნთქა.

მცირე ხნის შემდეგ ოფიცრებს კეთილშობილებისა და ბრწყინვალების მაგიერ ბატონოს უძახოდენ.

ჯარი მოელოდა ომის დამთავრებასაც, სახლში დაბრუნებას, მაგრამ ასკუპდა მეფის მაგიერ კერენსკი და ბრძანა მან:

—ომი გამარჯვებამდე!..

გაიყო ორ ბანაკად ფრონტი. ერთს უნდოდა სიმშვიდე. ოჯახი, ქარხანა, შრომა. მეორეს ბრძოლა, სისხლის ღვრა, გამარჯვება მოძმეთა სიკვდილით.

აშკარა იყო დათიასათვის საით იყო სიმართლე. იმართებოდა მაშინ მიტინგები. ირჩევდენ ჯარისკაცები თავის წარმომადგენლებს დეპუტატთა საბჭოში, მაგრამ ისინი ფეხს შესდგამდენ, თუ არა მასში, მაშინვე გადაგვარებულნი გამოდიოდენ, ისინიც ამბობდენ:

— ომი გამარჯვებამდე!.. სიკვდილი გერმანელებს!..

და მოდიოდა ბრძანება ბრძანებაზე: „ფრონტი არ მოიხსნას,სიკვდილით დასაჯეთ რევოლიუციის მოღალატენი". ისჯებოდენ მშვიდობიანობის მსურველნი. ხვრეტდენ მათ.



მუშათა დემონსტრაცია ვარშავაში.

ფრონტი კი შეაკავეს. ჯარს ისევ ბანგ-ბადაგი აპკურეს, ისევ ლაგამი ამოსდეს.

ომი გაგრძელდა.

VI

ზაფხულის სიცხიანი დღეები დაიწყო. ეს ის დრო იყო, როდესაც ჯარისკაცებმა ფრონზე მაზარა გაიხადეს, მხარზე გადიგდეს, და ერთი პეშვი წყლისათვის თავს სწირავდენ.

ხალხს, რომელიც შინ დაბრუნებაზე ოცნებობდა ძალათ ჩაუნერგეს: „ან სიკვდილი, ან გამარჯვება". და მიიწევდა ჯარი წინ, იბრძოდა.

ერთ განთიადისას, როდესაც მზე ის-ის იყო ჩნდებოდა ჰორიზონტზე, გავარდა ზარბაზანი. რამდენიმე წუთის შემდეგ მას მოჰყვა მეორე.

ფეხოსნები საომრად მოემზადენ. თხრილებიდან თოფის ლულები გადმოაწვინეს და ბასრი თვალი გადაავლეს წინ სივრცეს. მზვერავები და მოწინავე გუშაგები დასისხლიანებულნი მოაჭენებდენ ცხენებს უკან. ისინი ქაქანით წარსდგენ შტაბში და განუცხადეს, რომ მტრის დიდი ძალა ფარულად მოიწევდა წინ.

ავსტრიელებს გადამწყვეტი ბრძოლის გამართვა უნდოდათ რუსეთისათვის, რომ წართმეული ადგილები უკან დაებრუნებინათ.

და მაშინ გაიმართა საზარი ბრძოლა.

ვიდრე თოფები ახმაურდებოდენ ბრახუნებდა ზარბაზნები და კაკანებდენ ტყვიამფრქვეველები.

ცეცხლი და ცეცხლი გამდნარი ტყვია სრიალებდა ჰაერში. შავი კვამლი იშლებოდა მიწიდან ცამდე და ხმები სროლის, კვნესის აყრუებდა სმენას.

ამ დაუზოგველ და უსულგულო ფოლადებს შორის ილუპებოდენ ადამიანები.

გამწვავდა ბრძოლა.

ზარბაზნებმა შესწყვიტეს სროლა. მტერი ძლიერ ახლო მოვიდა.

აქ თოფებმა ამოიდგეს ენა და ცხელი გულები იძირებოდა ადამანთა მკერდებში.

მალე თოფებიც უძლური შეიქნენ.

ხიშტზე გადავიდა ჯარი.

დაიწყო ერთმანეთის უმოწყალო ჩეხვა, მკვლელობა.

საზარელი სურათები:

ერთმა მუცლით ხიშტზე წამოაგო მტერი.

მეორემ მკერდში ჩასცა და წაქცეულს ფეხით შეადგა. ზევიდან რაც ძალი და ღონე ჰქონდა დააწვა. მაინც და მაინც გაუტარა ხიშტი მკერდსა და ზურგს შორის.

მესამე დაჩოქილია და ელის წამს, როდესაც მაღლობზე მდგარი მეომარი კეფაში ჩასცემს კონდახს. მას სახე ისედაც სისხლიანი აქვს, ისედაც მომაკვდავია.

მეოთხე უფრო საშინელია.

ასეთი სურათები კი მრავალია.

მათში არის დათიაც. მხნედ აქვს მკლავი. გული მტკიცედ. მიზანი კი სრულებით არ მოეპოვება. არც ჯავრი აქვს მტრისადმი, არც სიძულვილი.

გაიფანტა ჯარი, გორაკოვან ველზე გაიშალა.

ერთ გორაკზე ხიშტ წაწვდილი მიიწევს წინ დათია. უკანასკნელი ათეულები მიეშველა დამარცხებულ რუსის ჯარს, მაგრამ საშველი მაინც არ არის.

უკან თეთრი ბაირაღის კალთებიც კი აფრიალდა, მაგრამ ბრძოლა ჯერ არ ჩერდება.

პირისპირ შეხვდა დათია ერთ ავსტრიელს. მგლური მუხლები. ძლიერი მკლავებში ძლიერი სისხლი უჩქეფს მას. მოდის ახოვანი ავსტრელი და გერმანულ ბრტყელ ხიშტთან თოფს მოათამაშებს.

მარცხდება რუსის ჯარი, მაგრამ ვეფხვივით იბრძოლებს, დამარცხების საშინელებას გულიდან ამოითხრის. რამდენიმეს მაინც უსულოდ დააგდებს.

ლიუსტგარტენში (გერმანია) კომპარტიის ხელმძღვანელობით მოეწყო უდიდესი მუშათა საპროტესტო დემონსტრაცია.

„აი, ეხლა ეს დაეცემა ძირს მკვდარი,—ფიქრობს დათია, მერე კიდევ სხვა უნდა დავსცე ძირს, ბოლოს მეც ჩამცემენ მახვილს და გათავდება ყველაფერი. მშვიდობით მაშინ თავისუფლების სურვილო, მშვიდობით ჩემო მხარეო“.

შორიდანვე ერთმანეთს თვალი გაუყარეს.

ამ თვალებში ერთდაიმავე დროს კრთოდა თავგანწირვა და სიცოცხლის წყურვილი. ეძგერენ ერთმანეთს.

ხიშტი არ იხმარა დათიამ. კონდახი რომ მოიქნია მოწინააღმდეგის თავს გაარტყა. მას ხელები დაუბუჟდა და გაუვარდა. არაფერს ანგარიშს არ უწევდა დათია, მისი ამხურვალებული გული და გონება მგონი მხოლოდ საკუთარი სიცოცხლის გადარჩენაზე ფიქრობდა.

მეორე წამიც და ამართული მკლავები გამოაქანებდეს ხიშტიან შაშხანას.

ავსტრიელი კი გაბრუებული იდგა. მერე გაყრუვდა. მთელი საშინელება დატრიალდა მის აზრში. საფეთქელმა ცემა დაუწყეს. თვალებიდან სინათლე ეცლებოდა.

ამ თვალებში ანაზდათ ჩაუვარდა დათიას თვალები. ეს ადამიანი უკვე მკვდარი იყო. აზრზე მოვიდა დათია. თოფი სუბუქად დაუშვა ძირს და თვალს არ აშორებდა. როდესაც ავსტრიელი გამოირკვა მას უკვე თვალწინ მოღიმარე სახე დაუხვდა. მეგობრულად შესცინა დათიამ. გაშტერებული ავსტრიელი თავს არ უჯერებდა. ნელი-ნელ, სახის ნაკვეთების თანდათანობითი ამოძრავებით, იქვიანი ღიმილი გადკრა სახეზე. მერე კი როდესაც დათიამ მხარზე ხელი დაადო, მარჯვენა გაუწოდა, ხელი ჩამოართვა მას ავსტრიელმა, რაც კი სიხარული განუცდია ოდესმე სულ სახეზე გადიტარა, სულ გულში ჩაიღვარა. ხელით ანიშნა დათიამ ავსტრიელს და ჩამოჯდენ გამხმარ მიწაზე.

მათ ზურგში კი ფრიალებდა თეთრი ბაირაღი. იარაღს ყრიდენ, ნებდებოდენ. ტყვეებს აგროვებდენ.

დათიას და ავსტრიელს ერთმანეთის ენა არა გაეგებოდათ. გრძნობდენ მხოლოდ რომ სიყვარული დამკვიდრდა მათ შორის.

ავსტრიელმა ჯიბიდან ტყავის სათუთუნე ამოიღო. გერმანული სიგარა მიაწოდა. აიღეს ორთავემ. გააბოლეს. მეგობრულად შესცქეროდენ ერთმანეთს და ეხვეოდენ კვამლის კვირტებში.

უცბად შორიდან რაღაც ხმები მოესმათ. ავსტრიელმა გაიგო მისი შინაარსი. მაშინვე ფეხზე წამოდგა. უჩუმრად უცქირა დათიას, ვერც რამეს ეუბნებოდა, ვერც წასულიყო.

ჩაფიქრდა დათია. „რას მთხოვს“?.. გაიტარა გულში.

— აჰა, ტყვეობაში მეპატიჟება,—წამოიძახა ხმამაღლა და ზეზე წამოდგა.

წინ წადიო, ხელით ანიშნა დათიას. თვალი გადაავლო ძირს დადგმულ ხიშტს, მერე ზიზღხანი სახით ფეხი წაჰკრა და გაემართა.

ავსტრიელმა თვალი აადევნა მის მოქმედებას, ჰკვირობდა და გონების სიღრმეში კი რაღაც აზრი დაებადა.

წაჰყვა დათია ტყვედ.

როდესაც ავსტრიელმა ის სხვებთან მიიყვანა, ერთ-ერთ ამხანაგს ყურში წასჩურჩულა:

— Er ist Bolehevik!... *)

რამდენიმე წლის შემდეგ ქვეყანა დამშვიდდა. თითქოს ლიდან ბოღმა ამოითხარა და მიყუჩდა,სხეულზე კი ამ ძღელვარების გამო მრავალი ბალღამი და ტკივილი დაურჩა .

ომი გათავდა.

შერჩა ქვეყანას ოცი მილიონი კოჭლი, უმკლავო ან ფერდებგახვრეტილი ადამიანი და ატირდენ ათი მილიონის მშობლები, დები, ძმები.

სოფელმა ბარეთმაც რამდენიმე შვილი ჩაიბარა უკან, უფეხოც, უმკლავოც და ნეკნამოღებულიც. დათიაზე კი იგლოვა ყველამ, იგლოვა სოფელმა. ის მოკლულად ჩასთვალეს და აღარ ელოდენ მის დაბრუნებას.

სოფლის დიდი მზე ჩვეულებრივად ამოდიოდა ცაზე, ამწიფებდა, ასიცოცხლებდა ვენახებს, ყანებს, ბაღებს და სოფელიც შრომობდა ისევ, ზრუნავდა საკუთარ სიცოცხლეზე. ეხლა, ამ ომის შემდეგ ჩითეულიც აღარა ჰქონდათ, რომ სხეული დაეფარათ და მათ გახსნილ უბეებში ქროდა ნიავი, სიცივე.

ერთ დილას სოფლის შარა გზას მოჰყვებოდა ახოვანი ყმაწვილი უცხოურ ტანსაცმელში გამოწყობილი. მას ეცვა მუხლისთავებამდე აწვდილი წინ შესაკვრელი ჩექმები, მწვანე, შიგ ჩაყოლებული შარვალი, ფიჯაკი და უბრალო რუხი ქუდი. ზურგზე ეკიდა კარგა მოხდენილი აბგა. ის ამ აბგას ხან ერთ მხარზე გადიკიდებდა და ხან მეორეზე. სახეზე ელვარება და დაფაციცება ეტყობოდა. ნაბიჯი არ გავდა ჩვეულებრივს. გოლიათური სიმარჯვით მიდიოდა წინ.

ორლობეები რომ გაათავა ბაზარში შედგა ფეხი და მოუსვენრად იცქირებოდა გარშემო.

სოფლელები ჯერ კიდევ შორიდან შესცქეროდენ და გაიძახოდენ:

— ვინ არის ეს კაცი ნეტაი?..

— რას დაებოტება შლიაპაში სოფელ-სოფელ, ჰა?..

— მეტი რა საქმე აქვთ ქალაქელებს, შვილოსა, დადიან და თავს იქცევენ.

ყმაწვილი თანდათან ახლო მივიდა.

— გიგა, მოიწიე აქეთ კაცო, ესა ჩვენი მართას დათია არ არის?..

— მაშ, კაცო, ის უნდა იყვეს.

ამ დროს ყმაწვილი შეჩერდა და გამომცდელად შეხედა. ცოტა ხნის შემდეგ გაუცინა დ ამ სიცილმა ნათლად დაანახვა გლეხებს რომ ის დათია იყო.

— გამარჯობა შენი!..

— ჩვენ შენ ცოცხალი როდი გვეგონე!..

— იმ დასაქცევმა ომმა რამდენი ხალხი დაგვიხოცა!..

მიუახლოვდენ სოფლელები და ხელის ჩამორთმევასთან ერთად სხაპასხუპით მიაყარეს გამარჯვებისა და გამოკითხეს ამბები.

უსიტყვოდ მხოლოდ მხიარული ღიმილით შესცქეროდა დათია ყველას და მარჯვედ ხელს ართმევდა.

თან მიჰყვებოდა შარას, მიისწრაფოდა შინისაკენ, რომ ჩაეხუტოს მოხუც დედას, დას, ძმას, რომ გული გაუხაროს გამოტანჯულ ადამიანებს. მიჰყვებიან გვერდში გლეხებიც საუბრით, სიხარულით.

ცოტა ხნის შემდეგ ერთი გლეხი შეჩერდა. გონებაში რაღაც აზრმა, როგორც ნაჯახმა ისე ჩაჰკრა და ჩააშტერდა მეორეს, შემდეგ ეს მზერა დათაზე გადაიტანა და დიხანს, დიხანს ასე უცქირა.

— რა იყო, გიგა!.. რას შემომცქერი აგრე დაჟინებით? შეეკითხა დათია და მაჯაში ხელი წაავლო.

— ჩემი სახლი?.. ჩემი დედა?.. განიმეორა დათიამ.

— არაფერი, წამოდი ჩემთან წავიდეთ.

— შენთან?.. ჩემი სახლი?!

გაჩუმდენ ყველანი.

პასუხი არავინ გასცა. რამდენიმე ნაბიჯით გადაზდგეს, ხიდს გადასცდენ იქიდან მოსჩანდა დათიას ქოხი.

— ჰხედავ?.. ჰკითხეს.

დათიამ დაინახა თავის ეზოში აყვავებული დიდი ნუშის ხე, მძლავრად მდგარი კაკლის ხეც, ღობე კი არსად სჩანდა. ქოხი?.. აღარც ქოხი იყო. ძირს ქვითკირი ეყარა და რამდენიმე დამპალი ყავარი.

— დაინგრა... უთხრა ერთმა.

— შენი და ისპანკამ მოკლა, ძმა სადღაც გადიხვეწა.

— დედა! დედა კი მათ დარდს გადაჰყვა...

იცრუა გლეხმა. დარდს კი არ გადაჰყვა, სიმშილით, სიცივით ცივ ზამთარში მოკვდა იმავე ქოხში, როდესაც მას კედლებიც არა ჰქონდა, ქარი შემოდიოდა, წვიმა ასველებდა მის საწოლს და სცხვენია ამ გლეხს, რადგან სოფელი არ მოეშველა.

მწუხარედ იდგა დათია და შესცქეროდა საყვარელ ადგილს, სადაც ის დაიბადა, აღიზარდა, სადაც ერთ დროს ჰატარა კარმიდამო იყო.

— გაჭირვება იყო, შენი ჭირიმე, მთელ სოფელში, ერთი ჩანახი ხორბალი სიცოცხლის ფასად ღირდა და...

შეხედა დათიამ აცრემელებულ თვალებით, მერე უცბად ტანში გასწორდა, ყელი მოიღერა და თვითეულ მათგანს ხელი ჩამოართვა.

რაღა დარჩენოდა მას სოფელში? ნათესავად აღარავინ გააჩნდა, მოყვრობა კი არავინ არ გაუწია. შემოტრიალდა, თავისი გოლიათური ნაბიჯი მოიმარჯვა და ქალაქისაკენ გასწია.

(გაგრძელება იქნება).

ელიზბარ პოლუმორდვინოვი.

*) ეს ბოლშევიკია!..

საბჭოთა და გერმანიის გემის „ანფრიდ“-ს მოსამსახურეთა შეხვედრის საღამო.

1928 წ. 12 ნოემბერს ფოთის ინტერნაციონალურ კლუბში.

1. ფრიც ბოლვერკ, 2. განც ვოკ. 3. ვალტერ ფერფიტ, 4. გიუგო გცესიხ. 5. ოცო შპრინგერ, 6. განც ვენდ, 7. თეოდორ შუჰართ, 8. კარპენკო (მეზღვაური), 9. კარლ ენკე, 10. რეშეტნიკოვი, 11. ალფრედ შაკნის, 12. კოლეიდა, 13. მაქს ბორს, 14. იონაკი (მეზღვაური), 15. ალბერტ მაკოვსკი, 16. მილლერ, 17. სტეფან ტუშინსკი, 18. ალფეროვ, 19. კურტ შპონ, 20. ავინ (მზარეული), 21. კრივოი (მეზღვაური), 22. ლეხუტა, 23. რატკოვსკი (ბოცმანი), 24. გაგუა (მეზღვაურთა კავშირის თავმჯდომარე), 25. გრეშჩენკო (მაზღვაური გემი „ჩატირდაგი“-ს მეზღვაურთა კომიტეტის თავმჯდომარე), 26. ვილგალმ მარტენს, 27. კოლიაროვ, 28. ლოიდის, 29. სუსლოვი, 30. კურტ კლორ, 31. მაუვშა, 32. გრეკოვი, 33. ბოლქვაძე (კლუბის გამგე.), 34. სოხინ, 35. შმელიოვი, 36 ჩებუნენკო, 37. ალბერტ (მეზღვაურთა ინტერნაციონალური კლუბის მდივანი), 38. ადოლ ბუხ, 39. შეველიოვი (მეზღვაური), 40. გრიგოროვიჩი, 42. შაპოვალენკო და 43. შაშინსკი გემის კაპიტანი.

გ ე რ მ ა ნ ე ლ ი მ ე ზ ღ ვ ა უ რ ე ბ ი ფ ო თ შ ი

(მ ო გ ო ნ ე ბ ა ნ ი)

გერმანელ მეზღვაურთა ერთი ჯგუფისაგან ჩვენ მივიღეთ თბილი თანაგრძნობით და ინტერნაციონალური ერთსულოვნებით გამთბარი წერილი. უადგილო არ იქნება ეს წერილი გავაცნოთ ჩვენს მკითხველებს. ამიტომ მოგვყავს ის ოქტომბრის რევოლიუციის მეთორმეტე წლის თავზე ოდნავ შემოკლებით.

აი, რას იწერებიან გერმანელი მეზღვაურები:

„1928 წ. ნოემბრის 5 ჩვენ გერმანელმა მეზღვაურებმა გემი „ანფრიდი“-თ ჩავედით ქ. ბათომში. მოახლოებული იყო უდიდესი რევოლიუციონური დღესასწაული, ჩვენ ყველანი აღტაცებულნი ვიყავით იმ ფაქტთ, რომ შვიდი ნოემბერი საბჭოთა მიწა-წყალზე უნდა გვედღესასწაულა. იმავე საღამოს ჩვენ მეზღვაურებმა, მემანქანეებმა, სხვა მოსამსახურეებთან ერთად წავედით ინტერნაციონალურ კლუბში. ჩვენ შემოგვირთდენ იმ ხანებში ბათომის ნავთსადგურზე მდგომი, ორი გერმანული გემის მეზღვაურები. კლუბის ხელმძღვანელმა წაგვიყვანა კინოში, სადაც ჩვენ გვიჩვენეს სურათი სააქართველოს 1867 წ. ყოფაცხოვრებიდან. ამრიგად ჩვენ უფრო ახლოს გავეცანით ქართველი ერის ცხოვრებას.

კლუბის ხელმძღვანელი გვიხსნიდა სუყველაფერს დღესასწაულის წინა დღით, ე. ი. ნოემბრის 6 საღამოს ინტერნაციონალურ კლუბში მოეწყო ინტერნაციონალისტების საღამო, რომელშიაც ადგილობრივ ტრანსპორტის მუ-

შებთან ერთად ჩვენც მივიღეთ აქტიური და მხურვალე მონაწილეობა. წითელი ჯარის, მუშების, ახალგაზრდობის და მშრომელი ქალების წარმომადგენლები გამოდიოდენ სიტყვებით. ისინი გვესალმებოდენ ჩვენ უცხოეთის მუშათა წარმომადგენლების. გვაცნობდენ ჩვენ საბჭოთა კავშირს, რომელიც მიუხედავათ ბურჟუაზიული სამყაროს მესვეურთა ცილისწამებისა მაინც შეუჩერებლივ წინ მიილტვის აღმშენებლობის მტკიცე გზით.

ყოველი ორატორის სიტყვა თავდებოდა შემდეგი სიტყვებით: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, თქვენი მიზანი ჩვენი მიზანია, თქვენი ბრძოლა ჩვენი ბრძოლაა. ჩვენ ყოველთვის მზად ვართ დაგეხმაროთ იმ გადამწყვეტ ბრძოლაში, რომელსაც თქვენ აწარმოებთ ჩვენი საერთო მტრის, საერთაშორისო კაპიტალიზმის წინააღმდეგ“.

ნოემბრის შვიდს დილით ჩვენ ყველამ ერთად გავსწიეთ წითელი დროშებით ინტერნაციონალურ კლუბისაკენ, სადაც ჩვენ შემოგვიერთდენ რუსი მუშები, აქედან კი — სამხედრო მუსიკის გრიალით ყველანი ერთად გავემართეთ დანიშნულებისმებრ. ბათომის ქუჩებში ჩვენს გამოჩენას აღფრთოვანებით შეხვდა მოზღვავებული ხალხი. კარგა ხანი გავიდა.ვიდრე დემონსტრანტების დაუსრულებელი რიგები მიაღწევდენ და სათანადო ადგილებს დაიჭერდენ მოედანზე. აქ ამართული იყო ტრიბუნა, გამოდიოდენ მუშების, წითელ-არმიელების, მშრომელი ქალების და ახალგაზრდობის წარმომადგენლები, ესენი აღფრთოვანებით ამბობდენ საზეიმო სიტყვებს. ერთი ჩვენი ამხანაგი მიესალმა ქართველ მუშებს და გლეხებს და მიულოცა მათ ოქტომბრის რევოლიუციის თერთმეტი წლის თავი. დღესასწაულის დამთავრების შემდეგ ჩვენ ისევ დავბრუნდით ინტერნაციონალურ კლუბში, სადაც ჩვენ მიგვიწვიეს სადილად. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ჩვენს მიმართ დიდი სტუმართმოყვარეობას იჩენდენ მუშები. აქ ყველაფერს თავისუფლების ელფერი ედო, აქ არაფერს არ ეტყობოდა ძალადობა, რაც აშკარად თვალში გეცემათ კაპიტალისტურ ქვეყნებში.

საღამოს გაიმართა წარმოდგენა, რომელშიაც მონაწილეობდენ განსაკუთრებით ტრანსპორტის მუშები. ჩვენ ისე აღფრთოვანებით ვისმენდით ყოველივეს, რომ მზად ვიყავით მთელი ჩვენი არსებით შევბრძოლებოდით იმ საზიზღარ ცილისწამების კამპანიას, რომელსაც ბურჟუაზიული ქვეყნების ოფიციალური ჟურნალ-გაზეთები ავრცელებდენ საბჭოთა კავშირის შესახებ.

მეორე დღეს ჩვენ ზღვით გავემგზავრეთ ქ. ფოთში, სადაც ნავთსადგურში შესვლისთანავე მოგვეგებენ მუსიკით. აქაც ისეთივე თბილი შეხვედრა გაგვიმართეს; გემიდან ჩამოსვლისთანავე გავსწიეთ კლუბისაკენ, სადაც წარმოითქვა მრავალი სიტყვა. ფოთის ნავთსადგურზე ყოფნის დროს ჩვენ საშვალება გვქონდა დაგვეთვალიერებია იქვე მდგომი რუსის სამგზავრო გემი.

ყველაზე უფრო ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე სამგზავრო განყოფილებამ, მისმა შეუდარებელმა სისუფთავემ; აქ ყველაფერი თავის ადგილზე იყო, ყველაფერს არაჩვეულებრივი, სასიამოვნო ელფერი ედო; შედარებით ბევრ გერმანულ გემებთან ეს პირდაპირ საკვირველება იყო. კლუბის ოთახი გემზე, შეუდარებლად იყო მორთული. ყველანი დიდ კმაყოფილებას გამოსთქვამდენ თავიანთი ცხოვრების ახალი პირობებით. ისინი მუშაობენ მხოლოდ 8 საათის განმავლობაში, მემანქანეები კი 6 საათს, მოსამსახურეთა უფროს და უნცროს შემადგენლობას წელიწადში დასასვენებლად ეძლევა ორი კვირა თვითეულს. მემანქანეებს კი თითო თვე. ბაქანზე კვირა დღეებში მომუშავეთ თვეში 2 დღე იძლევა დასასვენებელად. ზედმეტ საათების დროს მუშაობისათვის პირველ ორ საათის განმავლობაში აძლევენ 50%, ხოლო შემდეგ საათებში კი სულ 100%. ამ მხრივ საბჭოთა მეზღვაურების მდგომარეობა ჩვენთან შედარებით გაცილებით უკეთესია. ჩვენ დიდის სიამოვნებით და კმაყოფილებით დავრჩებოდით რუსეთის გემზე სამსახურში, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო.

შემდეგ საღამოს ჩვენ გვქონდა საუბარი ადგილობრივ ამხანაგებთან. საუბრის დასრულების შემდეგ ადგილობრივმა ამხანაგებმა საჩუქრად გადმოგვცეს წიგნები და 3 წყვილი სამუშაო ხელთათმანი.

მეორე დღეს ჩვენ გავემგზავრეთ. ნაპირზე დავსტოვეთ მასპინძლები, ისინი მხურვალე სალამით გვისტუმრებდენ ჩვენ. ჩვენთვის, რომლებმაც მთელი ქვეყანა შემოვიარეთ ძნელი იყო საბჭოთა ნაპირთან დაშორება.

ამხანაგმა, რომელიც გვერდით მედგა იმ წუთში მითხრა: — „რაღაც ძალიან მეძნელება, ასე მგონია ვეთხოვები საკუთარ სამშობლო მიწას. ყველანი მოვალენი ვართ დავეხმაროთ საბჭოთა კავშირს, უნდა ვებრძოლოთ ინტერნაციონალურ კაპიტალიზმს, რომ ხელი შეუშალოთ მათ ამ პროლეტარულ სამშობლოს წინააღმდეგ ომის დაწყებაში. ამიტომ საჭიროა ყველანი შევიდეთ ინტერნაციონალური კლუბის და კომპარტიის წევრებათ“.

ი. გ.

ავსტრიაში ამჟამად მძვინვარებს საშინელი უმუშევრობა.

პოლიცია და ფაშისტური ორგანიზაციები წარმოებებდან ქუჩაში ერეკბიან რევოლიუციონურად განწყობილ მუშებს.

ინგლისელი ჯარისკაცის წერილიდან

ციებ-ცხელებამ შემიპყრო, საცოდავად მაძიგძიგებდა და შტაბის ექიმმა გადამგზავნა ერთი კვირით იერუსალიმის ჰოსპიტალში.

ციების დროს ჰოსპიტალის ექიმმა ნება მომცა ერთი საათით ეზოში გავსულიყავ გასასეირნებლად. ჩვენი ეზო ერთი მხრით ემხრობა ევროპიულ ქუჩას, მეორე მხრით პირდაპირ გადაჰყურებს ამტვერიანებულ ქუჩას, რომელიც მიემართება მაღალსა და ძველ გალავნისაკენ ე. ი. არაბული უბნისაკენ.

ეზოში მე შევნიშნე გადაყვითლებული ბავშები, ისინი დასდევენ სამიოდე ძაღლს. ეს ბავშები დიდის წვალებით გადმოდიან 3-4 სართულიან გალავნიდან. ძაღლები დარბიან ბავშების შიშველ ფეხების ირგვლივ. ბავშები მღერიან და ამით იქარვებენ სიმშილსა და წყურვილს.

მათ მთელი დღე და ღამის განმავლობაში არაფერი უჭამიათ. უეცრად ქალაქის ყველა კუთხეებიდან გამოექანენ ისინი. მოამზადეს სასწრაფოდ, მათი ოთხფეხა მეგობარ ცხოველების მიერ გალოკილი კონსერვის თუნუქის ყუთები, ისინი ნელინელ, დიდის მოკრძალებით უახლოვდებიან სალაშქრო ქუხნას. ეს ორი კვირაა, რაც მთელი გარნიზონის მასტაბით გაცემულია ბრძანება, რომლითაც ეკრძალება ჯარისკაცებს ადგილობრივ, არაბთა ბავშებს მისცენ რაიმე საჭმელი. ვინც არ დაემორჩილება ამ „სავალდებულო“ ბრძანებას იმას ამწყვდევენ ნოუბახში.

საველე სამზარეულოს ირგვლივ ირევიან შავგვრემანი, სიმშილისაგან ღონე-მიხდილი ბავშები.

ყოველდღე აქ გაისმის მაძღარი და კმაყოფილი ოფიცრის გარეწარი ხმა. ის მუდამ ბრაზმორეულია. იძლევა სხვადასხვა ბრძანებას, მუქარით და გინებით:

— გარეკეთ ეს ტილიანი ბრბო... ეს მშიერ-მწყურვალთა ხროვა.

მიუხედავად ოფიცრისაგან მიყენებული ათასგვარი შეურაცყოფისა ეს მშიერი ბავშები იძულებულნი არიან აიტანონ დამცირებანი და განუწყვეტლივ ტრიალებენ ქუხნის ირგვლივ.

ბავშები ნარეცხ-წყალში თითებით და ჯოხით იქერენ ხორცის ნაფლეთებს, აგროვებენ გადაყრილ გამხმარ პურის ნატეხებს.

ყველგან დაძრწიან ეს მშიერი ბავშები. ისინი გმინავენ ყველა ქუჩებსა და მოედნებზე... ყველგან გაისმის მათი განწირული, მკვნესარე ხმა...

— ჯარისკაცებო, თქვენი ჭირიმე... გვიწყალობეთ ლუკმა პური... გვაჭამეთ რამე... მე დედ-მამა დამიხვრიტეს... ობოლი ვარ... უპატრონო... უთვისტომო... ეფენდი მოგვხედე... შენი ჭირიმე...

— პური!..

— პური!..

— პური!..

ჯარისკაცის ფარაჯის ქვეშ ხშირად სცემს ნამდვილი მუშის გული. ჩვენ ვერაფერი ვერ გვაკავეს... ჩვენ ვიტანჯებით და გული გვტკივა, როცა ამ სურათს შევყურებთ... ჩვენ მათ ხელს ვუწყობთ, რთაც კი შეგვიძლია, ვეხმარებით... დე, დაგვაპატიმრონ ამისათვის...

ბავშები ღებულობენ საჭმელს ასეთი წვალებით... მათ სიხარულს საზღვარი არა აქვს... ისინი აღფრთოვნებით გარბიან თავიანთ სახლებისაკენ... მათ ნარჩენებზე ძღებიან ძაღლები... ამის შემდეგ შიშველ-ტიტველი ბავშები წვებიან მზეზე, თბებიან თავიანთ ოთხფეხა ცხოველებთან ერთად და მაძღარნი „ბედნიერად გრძნობენ“ თავს...

ა მ ე რ ი კ ე ლ ი ფ ა შ ი ს ტ ე ბ ი ს მ ხ ე ც ო ბ ა ნ ი

მ უ შ ე ბ ი ს დ ა ხ ო ც ვ ა დ ღ ი ს ი თ.

მიმდინარე წლის სექტემბრის 14 ფაშისტები შეეცადენ გაერეკათ გასტონში გაფიცული ფეიქრები ფაშისტური ტეროორისტული ბრბო თავს დაესხა საბარგო ავტომობილს, რომლითაც მუშები მიემგზავრებოდენ მიტინგისათვის დანიშნულ ადგილისაკენ. ფაშისტებმა ასტეხეს სროლა, იქვე მოკლულ იქნა მუშა ქალი ე ლ ლ ი ვ ი გ ი ნ ს (იხ. ჩვენი ჟურ. დღევ. ნომრის 5 გვ.) მოკლულ ქალს დარჩა ოთხი მცირეწლოვანი შვილი. განსვენებული იყო ბესემერ-სიტის ფეიქართა კავშირის მდივანი.

შარლოტში პროცესის შეწყვეტის შემდეგ, რომელსაც შედეგადმოჰყვა ნაფიცთა შემადგენლობის შეცვლა, ფაშისტური ბრბოების თარეშმა მეტად მწვავე და მოუთმენელი ხასიათი მიიღო. სასამართლოს სხდომის შეწყვეტის შემდეგ, ორშაბათ საღამოს ფაშისტები გაემგზავრენ ასზე მეტი ავტომობილით ჩრდლო კაროლინის სამ ქალაქისაკენ—გასტონში, შარლოტესა და ბესემერ-სიტში. ისინი ფეიქართა პროფესიონალურ კავშირების ბელადებს და ბრალდებულთა დამცველებს ლინჩის კანონით ემუქრებოდენ. ტეროორისტები შეუვარდენ დამცველთა კომიტეტს შენობაში და. სრულიად მოსპეს იქ არსებული ლიტერატურა. შუა ღამისას იმათ დააპატიმრეს პროფკავშირის სამი ბელადი და სასიკვდილოდ სცემეს ინგლისელი ბ ე უ ე ლ ს ი, ეს უკანასკნელი ფეიქართა კავშირის ერთ-ერთი დამაარსებელთაგანია.

ამის შემდეგ იმათ ხელი მიჰყვეს დარბევა-აწიოკებას და ემზადებოდენ პროფკავშირის მუშაკთა საწამებლად,

მაგრამ იმათ განზრახვას ხელი შეუშალა უეცრად გზაზე ორი ფერმერის გამოჩენამ, რომლების შეეშინდათ იმათ. დაზარალებულებმა ბრბოში გამოიცნეს შარლოტენის პროცესის პროკურორი ჯ ო ნ კ ა რ პ ე ტ ე რ ი და რამდენიმე იურისკონსულტები საფეიქრო წარმოებებიდან, მათთან იყვნენ აგრეთვე საფეიქრო ფირმების ზოგიერთი მოსამსახურეები და პოლიციელები.

ამ უბადრუკთა კადნიერებამ იქამდისაც კი მიაღწია, რომ ისინი არ ცდილობდენ სახის დამალვას და მოქმედებდენ სრულიად უნილაბოთ.

დაზარალებულთა მიერ აღძრული საჩივრის თანახმად დაპატიმრებული არის რამდენიმე პატარა მოსამსახურე საფეიქრო ფირმებიდან და პოლიციელები. მიუხედავად ყოველივე ამისა ამ საქმის შესახებ ყოველგვარი კვლევა-ძიების წარმოება მინდობილი აქვს იმავე ჯ ო ნ კ ა რ პ ე ნ ტ ე რ ს. რომელიც დაზარალებულებმა გამოიცნეს თავდამსხმელ ბრბოში.

მიუხედავად ფაშისტების მკაცრი დამუქრებისა ფეიქრებმა დაადგინეს იმავე დღეს მოეწვიათ მიტინგი გასტონში. პრესა საჯაროთ აფრთხილებდა მათ, თუ ისინი ხელს არ აიღებდენ მიტინგის მოწვევის პროექტზე და ამისათვის წარმოებულ წინასწარ სამზადისზე იმ შემთხვევაში ფაშისტები ისევ ახალი თავდასხმების მოწყობით იმუქრებოდენ.

დააპატმრეს პროფკავშირის 8 წევრი, რომლებსაც ბრალდებათ წაუყენეს კ ო მ უ ნ ი ს ტ უ რ ი შ ე თ ქ მ უ ლ ე ბ ი ს მ ო წ ყ ო ბ ი ს ც დ ა, ჩრდილოეთ კაროლინის შტატების ხელისუფლების დასამხობათ.

სწორეთ იმ დაგილას, სადაც უნდა მოეწვიათ მიტინგი, დააყენეს ჩინებულად შეიარაღებული პოლიციელები. მიუხედავად ამისა დანიშნული დროისათვის თავი მოიყარეს აუარებელმა მუშებმა. ამავე დროს ბესემერ-სიტიდან ავტომობილებით მომავალ 20 მუშას გზა გადაუჭრეს ფაშისტებმა. უკანასკნელებმა ასტეხეს სროლა, რომლის დროს სასიკვდილოდ დაშავდა რამდენიმე მუშა და დაეცა ეხ. ე ლ ლ ა ვ ი გ ი ნ ს ი.

ამასთანავე ერთად პოლიციამ დააპატიმრა რემედასის წარმომადგენელი ლ ი ს ტ ო ნ ო კ ი, რომელიც სხვებთან ერთად გამოცხადდა მიტინგისათვის დანიშნულ ადგილას.

ნ ა ა მ ბ ო ბ ი

— „საღამოა და ზარბაზნის
ცეცხლი არ ბოლავს —
ცას ღრუბელი გაჰკვრია და
გაფითრებულა.
შევსცქერი ცას, ცა ბოღმას ღვრის
და სევდას ულევს;
ჯარისკაცებს სანგრებიდან
გაფითრებულებს.
ეს მესამე წელია და
წლის მეოთხე დრო
სანგრებში ვართ, სიხარული
ვინ დაგვიმკვიდროს.
გული გვქონდა მთელი, ისიც
ღამემ დაგვიხრა —
ჩემო თეთრო სიჭაბუკევ
საით წასულხარ“
მე ამგვარად ვფიქრობდი და
თვალს ვავლებდი მთებს
როცა მითხრეს: „ამბოხების
დროშა აღმართეს“
სულ კი ეხლა სიხარულს —
თვალებს ვაწვდი ცეცხლს —
თოფს, რომელიც მძაგდა, ეხლა
სამეგობროთ ხელს
ვუწვდი, ვხედავ იმედების
ზვირთებს შევებით
და ჩვენც ცეცხლში გრიგალივით
გადავეშვებით.
ვილაც თეთრი, ტანდაბალი
იდგა ლოდებთან —
გაჰკიოდა, ბრძოლისათვის
მოგვიწოდებდა.
კაცი იგი სანგრებიდან
ბევრს არ უცვნია,
მაგრამ მიცხვდით, რომ ჩვენთანაც
გაჩნდა რევოლიუცია
მოსულიყო, რომ შებმოდა
წყვდიადს, სიშავეს:
ჩვენ ყველანი ბრძოლისათვის
ავიშალენით.

ვიქტორ გაბესკირია.

ძირს საერთაშორისო იმპერიალისტური ომი!

ჩემი კალამიდან

რემედასის საბიუჯეტო სისტემა მომავალ წელში

დღემდის რემედასის ორგანიზაციაში არსებული საბიუჯეტო სისტემა ვერ იძლეოდა სასურველ შედეგებს. რაც ნათელჰყო უკანასკნელ ორი წლის განმავლობაში ჩატარებულმა მუშაობამ.

დღემდე არსებული სისტემის დროს რემედასის საქართველოს ცეკა ზევიდან აძლევდა საკანტროლო ციფრებს ქვემდგომ ორგანიზაციებს, ეს უკანასკნელნი კი ანაწილებდენ მას რაიონებსა და უჯრედებს შორის. მომავალი წლის იანვრის პირველიდან ეს წესი არსებითად შეცვლილი იქნება. მომავალში უჯრედები თვით განსაზღვრავენ თავიანთ შემოსავალს ორგანიზაციაში შემავალ წევრთა რაოდენობის მიხედვით.

უჯრედები ვალდებულნი არიან თავიანთი შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა გადაგზავნონ რაიონულ კომიტეტებში. ეს უკანასკნელი კი აჯამებს ყველა უჯრედების მიერ გადმოგზავნილ შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვას და უზგავნის საოლქო კომიტეტს. ოლქკომი თავის მხრივ აჯამებს რაიონულ კომიტეტებისაგან გადმოგზავნილ ხარჯთ-აღრიცხვებს. უმატებს მას თავისას, რაიონულ კომიტეტების შემოსავალ-გასავალს და აგზავნის რემდასის საქ. ცენტრალურ კომიტეტში.

ჩვენი ჟურნალის მეგობარი ამხ. მ ე ს ხ ი შ ვ ი ლ ი. ქ. ტფილისის აღმასკ. კომ. მეურ. განყ. შეაგროვა ჟურ. „რემედასის“ 47 ექვსთვიანი ხელისმომწერი.

ცეკა აღნიშნული მასალების მიხედვით ადგენს თავის ბიუჯეტს რესპუბლიკის მასშტაბით. უნდა აღინიშნოს. რომ ჩვენი ქვემდგომი ორგანიზაციები გულგრილად ეკიდებიან შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვის შედგენას; თავიანთ ბიუჯეტს ადგენენ ზერელეთ, არ ითვალისწინებენ შესძლებენ თუ არა მის შესრულებას. არ უწევენ ანგარიშს თავიანთ ორგანიზაციის წევრთა რაოდენობას. მათ მიერ საწევრო და ნებაყოფლობითი შემოწირულებათა შემოტანის შესაძლებლობას.

აქვე უნდა დავსძინოთ. რომ შედგენილ ბიუჯეტს მაზრები და რაიონები არ აგზავნიან თავის დროზე ან საგრძნობლად აგვიანებენ, რაც ხშირად აღლვევდა რემედასის საქ. ცეკას საბიუჯეტო სისტემას. ეს კი ცეკას საშუალებას არ აძლევდა შეედგინა თავისი მტკიცე ბიუჯეტი. დღესდღეობით კი რემედასის საქ. ცეკას მიზნად დასახული აქვს, ყოველგვარი ზომები იქნეს მიღებული ქვემდგომ ორგანიზაციების მიმართ, რათა დროზე წარმოადგინონ სწორად გამოანგარიშებული შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა.

ახალ საბიუჯეტო სისტემაზე გადასასვლელად ყოველი უჯრედი ვალდებულია შეადგინოს თავისი შემოსავლის ჯამი უჯრედის წევრთა რაოდენობის მიხედვით, უნდა დაუმატოს მას შემატებული წევრთა საშუალო რაოდენობა. უჯრედი ვალდებულია გამოარკვიოს. თუ რამდენი საწევროს შეტანა შეუძლია ამა. თუ იმ წევრს.

თუ ჩვენთვის ცნობილია წევრთა რაოდენობა ადვილად შეგვიძლია გამოვიანგარიშოთ ნებაყოფლობითი შემოწირულებანი. საწევრო წიგნაკებისა და სპეციალური კამპანიების ჩატარებისაგან მიღებული შემოსავალი. უჯრედის გასავლის ნაწილი განისაზღვრება საღამოებისა და კინოს მოწყობისაგან აღებული პროცენტებით. რომლის წმინდა შემოსავლიდან ქალაქის უჯრედს რჩება 25%. ხოლო სოფლისას კი 50%.

თუ უჯრედს არა აქვს საღამოს, ან კინოსაგან შემოსავლის გათვალისწინების საშუალება. მას ნება არა აქვს სხვა თანხებიდან გასწიოს რაიმე ხარჯები. ყველა ზემოაღნიშნულ მუხლების მიხედვით უჯრედი ადგენს თავის შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვას და მას უგზავნის რაიონულ კომიტეტს.

რაიონული კომიტეტი თავის მხრივ აგზავნის მას საოლქო კომიტეტში: ამ უკანასკნელმა თავის ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილში უნდა გაითვალისწინოს — შემდეგი მუხლები: 1. საწეორო და შესასვლელი, 2. საწევრო წიგ-

ნაკებისაგან შემოსავალი. 3. ნებაყოფლობითი შემოწირულებანი, 4. შემოსავალი საღამო-კონცერტებისაგან. 5. შემოსავალი სპეციალური კამპანიებისაგან.

საღამო-კონცერტებისაგან შემოსავალი ნაჩვენები უნდა იქნას ყველა ხარჯების გამოკლებით, რომელიც გაწეულია მათ მოწყობაზე ე. ი. წმინდა მოგება.

ლიტერატურის, ან სხვა გამოცემული მასალებისაგან აღებული შემოსავალი ნაჩვენები არ უნდა იქნეს, გარდა საწევრო წიგნაკებისა. სპეციალურ კამპანიებში გათვალისწინებული უნდა იქნას, მხოლოდ საზამთრო კამპანიის დროს შემოსული თანხები.

ბიუჯეტის გასავლის ნაწილი განისაზღვრება შემდეგი მუხლებით: 1. ხელფასი. პროცენტული ანარიცხები დამზღვევ სალაროს და ადგილკომს. 2. ორგანიზაციული ხარჯები, საკანცელარიო, ფოსტა-ტელეგრაფის, სამნეო და მივლინებების. 3. აგიტ-პროპ ხარჯები, 4. პლენუმი და კონფერენციები. ყველა ზემოაღნიშნული მუხლები საფუძვლად უნდა დაედვას ბიუჯეტის შედგენას.

რმედასის საოლქო, ან სამაზრო კომიტეტს საშუალება ეძლევა მთელი შემოსავლისაგან გასწიოს ხარჯები თავის ოლქში, ან მაზრის მასშტაბით მხოლოდ 15% რაოდენობით. ასე, რომ შეძლებულ რაიონების ხარჯზე საოლქო, ან სამაზრო კომიტეტს საშუალება მიეცემა გაუდიდოს %% სუსტ რაიონებს, იმ ვარაუდით, რომ მთლიანი ბიუჯეტის შედგენის დროს საერთო გასავალი შემოსავალთან შედარებით არ აღემატებოდეს 15%.

ბიუჯეტის შემოსავლის ნაწილის შესასრულებლად მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს საწევროსა და შესასვლელის აკრეფას, ახალ წევრების ჩაბმას ორგანიზაციაში, ნებაყოფლობითი შემოწირულებათა გადიდებას. რაც შეეხება საღამო-კონცერტების მოწყობას ამას უნდა უცქიროთ მხოლოდ. როგორც მომგებიან საქმეს.

რემედასის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის აქტივი.

გომბორის რემედასის თემკომის მიერ მოწყობილი „რ ე მ ე დ ა ს ი ს ფ უ ტ კ ა რ ი“. სდგანან მარჯვნიდან მარცხნივ: 1. ამხ. ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე მ გ ა ლ ო ბ ლ ი შ ვ ი ლ ი (რემედასის თემკომის თავმჯდომარე), 2. ამხ. მ ი ხ ე ი ლ ს ტ ა რ ო ვ ე რ ო ვ ი (აგრონომი, „რ ე მ ე დ ა ს ი ს ფ უ ტ კ ა რ ი“-ს მომწყობი და ხელმძღვანელი და 3. ამხ. ე მ ე ლ ი ა ნ ე გ ი ო რ გ ა ძ ე (რემედასის თემკომის მდივანი).

ბიუჯეტის გასავლის ნაწილში შტატის შენახვაზე სხვა მუხლებთან შედარებით იხარჯება ყველაზე უფრო მეტი თანხა, ამისათვის სასურველია მტკიცე შტატის განსაზღვრა და სადაც შესაძლებელია გადასვლა ნებაყოფლობითი, უსასყიდლო მუშობაზე.

ახალი სისტემა, რომელზედაც გადაყვანილი უნდა იქნეს ყველა უჯრედი განტვირთავს რაიონულ კომიტეტებს მუშაობისაგან ფინანსიურ დარგში.

ამავე დროს ყურადღება უნდა მიექცეს სხვა დანარჩენ ხარჯების შემცირებასაც. ყველა კონფერენციები და პლენუმეჩი ჩატარებული უნდა იქნეს სასტიკი ეკონომიით.

ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი ხარჯების გაწევა, გათვალისწინებულის გადამეტება და შემოსავლის ნაწილის შეუსრულებლობა გამოიწვევს რემედასის საქ. ცენტრალურ კომიტეტის ბიუჯეტის მერყეობას და გაამწვავებს ორგანიზაციის ფინანსიურ მდგომარეობას.

უნდა გვახსოვდეს, რომ ბიუჯეტის შესრულებას დიდი მნიშვნელობა აქვს, მას გეგმიანობა შეაქვს ორგანიზაციის ფინანსიურ მუშაობაში.

ამიტომ ხელი უნდა შეუწყოთ ცეკას მიერ განზრახულ ახალ სისტემის ცხოვრებაში გატარებას, რათა აღმოჯხვრილი იქნეს ის დაუდევრობანი რომელიც გასულ წლებში ახასიათებდა ჩვენი ქვემდგომი ორგანიზაციების ფინანსიურ მოღვაწეობას.

ვლ. აბზიანიძე.

რემედასის საქართველოს ცენტრალურ კომიტეტში 1929 წ. 1/I-დან 1/X-დე შემოსული თანხების ნუსხა და საოლქო და სამაზრო კომიტეტების მიერ ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებელი.

№№ რიგ.	დასახელება	საწევრო და შესასვლელი		ნებაყოფლობ. შემოწირ.		სპეციალური კამპანიები		გარდამავალი თანხები		სულ მიღებულია რემედასის ც. კ.		1929 წ. უნდა გადმოეგზავნათ		1929 წ. ბიუჯეტის შესრულ. %%
		მან.	კ.	მან.	კ.	მან.	კ.	მან.	კ.	მან.	კ.	მან.	კ.	
1	ტფილისის საოლქო კომ.	8982	53	9567	13	4473	37	8899	49	31922	52	29300	—	108,09
2	ქუთაისის სამაზრო კომიტ.	1188	76	884	19	7078	07	—	—	9151	02	7300	—	125,35
3	აფხაზეთის საოლქო კომიტ.	1289	00	4100	35	861	86	1500	00	7751	21	9200	—	84,25
4	აჭარისტანის „ „	1975	21	344	02	2776	88	100	00	5196	11	7000	—	74,23
5	ფოთის სამაზრო კომიტ.	1611	94	285	53	2190	47	—	—	4087	94	3000	—	136,26
6	გორის „ „	1016	58	790	00	248	00	—	—	2054	58	3000	—	68,48
7	შორაპნის „ „	—	—	300	00	1300	00	48	00	1648	00	3000	—	54,93
8	კახეთის „ „	98	20	500	20	1000	00	—	—	1598	40	3000	—	53,28
9	სენაკის „ „	346	60	139	00	516	00	40	00	1041	60	2000	—	52,08
10	ახალციხის „ „	220	00	700	00	—	—	—	—	920	00	2600	—	35,38
11	სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომ.	232	60	—	—	330	33	—	—	562	93	510	—	110,37
12	ზუგდიდის სამაზრო კომ.	213	62	300	00	—	—	48	13	561	75	1800	—	31,2
13	ახალქალაქის სამაზრო კომ.	256	00	—	—	270	00	—	—	526	00	1000	—	52,6
14	რაჭა-ლეჩხუმის სამაზრო კომ.	—	—	25	00	59	00	—	—	84	00	700	—	12,0
		17431	04	17935	42	21103	98	10635	62	67106	06	72510	—	

შენიშვნა: საწევრო ანარიცხების აკრებაში პირველი ადგილი უჭირავს — ტფილისის საოლქო კომიტეტს, მეორე — ფოთის სამაზრკომს, მესამე — აჭარისტანის საოლქო კომიტეტს, მეოთხე — აფხაზეთისას, მეხუთე — ქუთაისისას, მეექვსე — გორისას, მეშვიდე — სენაკის სამაზრკომს, მერვე — ახალქალაქისას, მეცხრე — სამხრეთ-ოსეთის საოლქო კომიტეტს, მეათე — ახალციხის სამაზრკომს, მეთერთმეტე — ზუგდიდის სამაზრკომს, მეთორმეტე — კახეთის საოლქო კომიტეტს.

საწევრო ანარიცხები სრულიად არ გადმოუგზავნიათ შორაპნისა და რაჭა-ლეჩხუმის ორგანიზაციებს. დღემდის არავითარი თანხა არ შემოსულა ოზურგეთის სამაზრო კომიტეტისაგან.

რემედასის საქ. ცეკას ბუხჰალტერი: **ვლ. აბზიანიძე.**

მოლარე: **ვ. მდივნიშვილი.**

რემედასის მესამე სამაზრო კონფერენცია

(სენაკის მაზრა)

1929 წ. ივლისის 28 შესდგა რემედასის სენაკის მაზრის ორგანიზაციების მესამე კონფერენცია. დაესწრო 27 დელეგატი და რემედასის ქალაქის ორგანიზაციის წევრები.

დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: 1. სამკომის საანგარიშო მოხსენება (მომხ. ვ. დ ე მ უ რ ი ა), 2. სამკომისა და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

თავის მოხსენებაში ამხ. დემურია შეეხო საერთაშორისო პოლიტიკურ მდგომარეობას და მასთან დაკავშირებით რემედასის მიზნებსა და ამოცანებს.

ამხ. დემურია დაწვრილებით შეეხო რემედასის ორგანიზაციის მოღვაწეობას უკანასკნელი ორნახევარი წლის განმავლობაში. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ თუ რემედასის მეორე კონფერენციამდე ორგანიზაციებში გაერთიანებული იყო 2.000 წევრი, დღეს მის რიგებში დარაზმულია 5.280 წევრი.

რემეადსის იდეის პოპულიარიზაცია მშრომელთა მასაში შედარებით გვარიანად არის დაყენებული; ფინანსიური მდგომარეობა წარსულთან შედარებით გაუმჯობესდა.

ზოგიერთ მიღწევებთან ერთად ორგანიზაციებში ადგილი აქვს ნაკლსაც. ახლად არჩეულ სამაზრკომს მდგომარეობის მკვიდრ ნიადაგზე დასაყენებლად დაევალა შემდეგი:

1. გააფართოვოს და გააღრმავოს ორგანიზაციული მუშაობა და ჩააბას ორგანიზაციაში პირველ რიგში მოჯამაგირე, ღარიბი და მშრომელი ქალები.

2. ყურადღება მიაქციოს მასიურ მუშაობას, აქტივის გაძლიერებას და საშუალებათა გამონახვას.

კონფერენციამ აირჩია სამაზრკომი და სარევიზიო კომისია. სამკომში არჩეული იქნა 23 წევრი და 9 კანდიდატი, სარევიზიო კომისიაში კი — 3 წევრი და 2 კანდიდატი.

კონფერენციის დამთავრების შემდეგ გაიხსნა პლენუმი, სადაც არჩეულ იქნა პრეზიდიუმი, რომლის შემადგენლობაში შევიდენ: ამხ. ი. ბექაია, ვ. დემურია, შ. ალასანია, ლ. კოკაია, მ. ბოკერია, დოლონაძე, ლ. ადანაია, მ. თევზაია, გ. ხვიჩია; კანდიდატებათ — მიხა გოგია და ამხ. ნესტორ ცომაია.

პრეზიდუმმა თავმჯდომარედ აირჩია ამხ. ვ. დემურია და მდივნათ ამხ. შ. ალასანია.

ა. შ.

ილტვიან რემედასის რიგებისაკენ

(ს ა დ. ტ ყ ი ბ უ ლ ი)

რემედასის უჯრედი უკვე ჩამოყალიბდა სადგურ ტყიბულში. ახლო წარსულში მოეწყო რემედასის კუთხე და გამოწერილი იქნა ჟურნალ „რ ე მ ე დ ა ს". ამჟამად უჯრედში ითვლება 60 წევრამდე. სულ მახლობელ რაიონის მასშტაბით 200 მეტი რემედასის წევრი ითვლება.

უნდა ითქვას, რომ რემედასის ორგანიზაცია ადგლობრივად მეტად ნაყოფიერად მუშაობს, რაც უნდა მიეწეროს მისი ხელმძღვანელის ი ვ ა ნ ე ფ ე ტ ი ს ო ვ ი ს ენერგიულ მოღვაწეობას.

აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოებაც, რომ ადგილობრივ ორგანიზაციასთან ცოცხალი და მჭიდრო კავშირი აქვს დამყარებული ქუთაისის რკინის გზის რემედასის რაიკომს.

ჩვენ ვფიქრობთ, თუ მომავალში ეს ხელისშეწყობა გაძლიერებული იქნება რემედასის ორგანიზაცია გაცილებით უფრო მეტ ნაყოფს მოგვცემს ვინემ ამას წარსულში ჰქონდა ადგილი. სამწუხაროდ უნდა ითქვას, რომ ეს ანბანური ჭეშმარიტება ყველა ამხანაგებს არა ქვს შეგნებული. დროზოგიერთმა, ტყიბულელმა ამხანაგებმა შეიგნონ ეს და ხელი შეუწყონ რემედასის საქმიანობას.

რემედასელი.

რემედასი იჭრება მასებში

(ს ა დ. ქ უ თ ა ი ს ი)

რკინის გზის ქუთაისის სადგურთან არსებულ ამხ. ფ ი ლ ი პ ე მ ა ხ ა რ ა ძ ი ს სახელობის კლუბში შესდგა ქუთაისის რკინის გზის რემედასის რაიკომის გაფართოებული კონფერენცია.

კონფერენციას დაესწრენ: სად. ტყიბულის, საწირის, ხრესილის, გელათის, რიონის, აჯამეთის, სვირის და ქუთაისის რემედასის უჯრედის მდივნები.

რემედასის მიმდინარე ამოცანების გარშემო მოხსენება გააკეთა ქუთაისის მაზრის რემედასის პ/მგ. მდივანმა ამხ. ტ რ ა პ ა ი ძ ე მ. ადგილებიდან ჩამოსული ამხანაგები აღნიშნავდენ რემედასის ორგანიზაციის ავტორიტეტის ზრდას მშრომელ მოსახლეობაში და ამ უკანასკნელთა ლტოლვას უჯრედებისაკენ.

დორგანელი.

გამომცემელი რემედასის საქ. ცენტრ. კომიტეტი. რედაქტორი: **შამშე ლეჟავა.**

ტფილისი, ს.ს.მ.უ.ს. პოლიგრაფტრესტის 1-ლი სტ. პლ. პრ., № 91. შეკვეთა № 1878. მთავარლიტი № 1336. ტირაჟი 4000.

ფასი 20 კაპ.

გამოიწერეთ და იკითხეთ

რემედასის საქართველოს ცეკას და ტფილისის საოლქო კომიტეტის ყოველთვიური მასიური ორგანო ჟურნალ

1930 რემედა 1930

გამოცემის წელი მეშვიდე

ჟურნალში უმთავრესი ყურადღება ექცევა საერთაშორისო რევოლიუციონურ მოძრაობას, თეთრი ტერორისა და ფაშიზმის თარეშს, როგორც დასავლეთ-ევროპის კაპიტალისტურ სახელმწიფოებში, ისე აღმოსავლეთის კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნებში; პატიმარ რევოლიუციონერების მდგომარეობას კაპიტალის საპყრობილეებში; რემედასის, როგორც **საგზოთა კავშირისა და საქართველოს ორგანიზაციების, ისე უცხოეთის სექციების მოღვაწეობას.**

ფართე ადგილი ეთმობა აგრეთვე მხატვრულ ლიტერატურას და მხატვრობას. ჟურნალში მოთავსებული იქნება მდიდარი ილიუსტრაცია, როგორც საერთაშორისო მუშათა კლასის და რევოლიუციონური გლეხობის კლასობრივი ბრძოლების ეპიზოდებიდან, ისე ყველა ქვეყნის რემედასის სექციების მუშაობიდან.

ხელის მოწერის პირობები

ერთი თვით	20 კაპ.	ექვსი თვით	1 მ. 15 კაპ.
სამი თვით	60 „	ცხრა თვით	1 „ 70 „
		ერთი წლით	2 „ 20 „

ხელისმოწერა მიიღება მხოლოდ ყოველი თვის პირველ რიცხვიდან

ყოველი აქტიური რემედასელი, უჯრედი, ქოხ-სამკითხველო, მუშა-მოსამსახურე, მშრომელი გლეხი და დიასახლისი უნდა გახდეს ჩვენი ჟურნალის ხელისმომწერი.

ჟურნალ „რემედას“-ზე ხელისმოწერით ჩვენ ვაღვივებთ მშრომელ მასაში ინტერნაციონალურ ერთსულოვნებას.

რემედასის უჯრედებო და გეჯდვითი სიტყვის ორგანიზატორებო იზრუნეთ თქვენი ჟურნალის გავრცელებაზე

ჟურნალზე ხელის მოწერა იწარმოებს, როგორც რემედასის საქართველოს ყველა საოლქო, სამაზრო, სარაიონო კომიტეტებში და უჯრედებში, ისე ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილებებში.

1930 წ. იანვრის პირველიდან ჟურნალ „რემედას“ გადაეგზავნება მხოლოდ ხელის მოწერლებს.

რემედასის საქ. ცენტრალურ კომიტეტის გამომცემლობა.